

# საქართველოს კანონი

## სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო და სამართლებრივი საფუძვლები

- ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოში სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ორგანიზებას, სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებებს, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სახელმწიფო რწმუნებულის უფლებამოსილებებს, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს.
- ეს კანონი გამოიყენება საგანგებო მდგომარეობისა და საომარი მდგომარეობის დროს წარმოქმნილი/მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის ან ინციდენტის შემთხვევაში, თუ „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ და „საომარი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
- საქართველოში სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, ეს კანონი და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტები.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

### მუხლი 2. კანონის ზოგადი პრინციპები

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებისაკენ მიმართული ქმედებებისათვის უპირატესობის მინიჭება;
- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობის ნებაყოფლობითობა;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული ინფორმაციის საჯაროობის, გამჭვირვალობის, თავისუფალი ხელმისაწვდომობისა და გავრცელების უზრუნველყოფა;
- სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომა.

### მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- სამოქალაქო უსაფრთხოება – ქვეყნის ტერიტორიაზე სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, აგრეთვე ამ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად საგანგებო სიტუაციისგან ადამიანის



სიცოცხლის/ჯანმრთელობის, გარემოსა და ქონების დაცვისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

- ა<sup>1</sup>) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური;
- ბ) საგანგებო სიტუაცია – გარკვეულ ტერიტორიაზე/ტერიტორიებზე ან ობიექტზე/ობიექტებზე შექმნილი ისეთი ვითარება/ვითარებათა ერთობლიობა, რომლის დროსაც ირღვევა ადამიანთა ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობები და რომელიც აშკარა საფრთხეს უქმნის ან რომელმაც შეიძლება აშკარა საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან/და რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს გარემოს, ფიზიკური/იურიდიული პირის, სახელმწიფო ან/და მუნიციპალურ ქონებას;
- გ) ინციდენტი – შემთხვევა, რომელიც აშკარა საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს გარემოს, ფიზიკური/იურიდიული პირის, სახელმწიფო ან/და მუნიციპალურ ქონებას;
- დ) საგანგებო სიტუაციის ზონა – განსაზღვრული ობიექტი, ტერიტორია, აკვატორია ან საჰაერო სივრცე, სადაც წარმოიქმნა ან/და განვითარდა საგანგებო სიტუაცია;
- ე) საგანგებო სიტუაციის რისკი – გარკვეულ პერიოდში შესაძლო ან წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის მოსალოდნელი შედეგი, რომელიც გამოიხატება საფრთხის წინაშე მდგარი ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე, გარემოზე ან ფიზიკური/იურიდიული პირის, სახელმწიფო, მუნიციპალურ ქონებაზე უარყოფითი ზემოქმედებით;
- ვ) მზადყოფნა – სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტებისა და საქართველოს მოქალაქეების შესაძლებლობა, ეფექტიანი რეაგირება მოახდინონ საგანგებო სიტუაციაზე, შეამცირონ მოწყვლადობა და საგანგებო სიტუაციის შედეგები;
- ზ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება – ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოსა და ქონების დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, მათ შორის, ხანძრის ჩაქრობა, ლოკალიზაცია და ლიკვიდაცია, სამაშველო სამუშაო, საავარიო-სამაშველო სამუშაო და სხვა გადაუდებელი სამუშაოები;
- თ) ხანძარი – უკონტროლო წვის პროცესი, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ზიანს აყენებს გარემოს, ფიზიკური/იურიდიული პირის, სახელმწიფო ან/და მუნიციპალურ ქონებას;
- ი) სამაშველო სამუშაო – მოქმედება, რომლის მიზანია საგანგებო სიტუაციის შედეგად დაშავებული ან/და დაკარგული ადამიანების მოძებნა და გადარჩენა, აგრეთვე საფრთხის შემცველი ადგილიდან ადამიანის გამოყვანა;
- კ) საავარიო-სამაშველო სამუშაო – მოქმედება, რომლის მიზანია ინციდენტისგან/საგანგებო სიტუაციისგან ადამიანის სიცოცხლისა და ქონების გადარჩენა, აგრეთვე ავარიისათვის, კატასტროფისათვის, ინციდენტისათვის/საგანგებო სიტუაციისათვის დამახასიათებელი საშიში ფაქტორების შედეგების მინიმუმადე შემცირება;
- ლ) სხვა გადაუდებელი სამუშაოები – სასწავლო სამედიცინო დახმარების გაწევა, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების განხორციელება, ტერიტორიის სანიტარიული გაწმენდა და დეკონტამინაცია, საგანგებო სიტუაციის ზონაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და სხვა გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელება;
- მ) აღდგენითი სამუშაოები – პირველი რიგის გადაუდებელი ღონისძიება/ღონისძიებათა კომპლექსი, რომელსაც საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალები ახორციელებენ საგანგებო სიტუაციის ზონაში სასიცოცხლო პროცესებისა და სოციალური ყოფის აღდგენის უზრუნველყოფის მიზნით;



ნ) ობიექტი – ფიზიკური ან იურიდიული პირის, სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონება (მათ შორის, ტერიტორია, შენობა-ნაგებობა, სატრანსპორტო საშუალება, ტექნოლოგიური დანადგარი, აგრეგატი, მოწყობილობა, ნაკეთობა, სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალება), რომლის სთვისაც დადგენილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ან საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნები;

ო) პოტენციურად საშიში ობიექტი – ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული ობიექტი, რომლის საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს რადიოაქტივური, ხანძარსაშიში, აფეთქებახანძარსაშიში, საშიში ქიმიური და ბიოლოგიური ნივთიერებების გამოყენებას, დამზადებას, გადამუშავებას, შენახვას ან ტრანსპორტირებას და რომელზე ავარიის ან რომლის საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესის არასწორი წარმართვის შედეგად შეიძლება წარმოიქმნას საგანგებო სიტუაცია (მათ შორის, ხანძრის, ნგრევის, აფეთქების, ემისიის ან ინტოქსიკაციის საფრთხე);

პ) სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტი – ჰიდროტექნიკური ნაგებობა, წყალმომარაგების, თბომომარაგების, ენერგეტიკული ან სხვა ობიექტი, რომელსაც სამოქალაქო უსაფრთხოების ინტერესებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს;

ჟ) აფეთქებახანძარსაშიში ობიექტი – საწარმოო ან სასაწყობო შენობა-ნაგებობა ან სათავსი, მიუხედავად მისი ფუნქციური დანიშნულებისა, რომლის საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესი ხასიათდება აფეთქებისა და ხანძრის განვითარების ან ხანძრის გაჩენის და შემდგომი აფეთქების შესაძლებლობით;

რ) ხანძარსაშიში ობიექტი – ხანძარსაშიში კატეგორიის საწარმოო ან სასაწყობო შენობა-ნაგებობა ან სათავსი, მიუხედავად მისი ფუნქციური დანიშნულებისა, რომლის საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესი ხასიათდება ხანძრის განვითარების ან ხანძრის გაჩენის და განვითარების, აგრეთვე ადამიანსა და მატერიალურ ფასეულობებზე ხანძრის საშიში ფაქტორების ზემოქმედების შესაძლებლობით;

ს) ორგანიზაცია – საგანმანათლებლო, სააღმზრდელო ან სამედიცინო დაწესებულება, სამრეწველო საწარმო, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობიდან შეიძლება წარმოიქმნას საგანგებო სიტუაციის საფრთხე;

ტ) ავარია – აფეთქება, ხანძარი ან საშიში ნივთიერების/ნივთიერებების გაუონვა, რომელიც გამოწვეულია პოტენციურად საშიში ობიექტის საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესის უკონტროლო განვითარებით და რომელიც უეცარ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და გარემოს;

ჟ) რეაგირების ძალები – ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების ჩატარების მიზნით სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტებისა და საზოგადოებისათვის განვარგულებაში არსებული მორეაგირე დანაყოფები;

ფ) საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინება – საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის ორგანოს მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტებისა და საზოგადოებისათვის საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის საფრთხის ან/და საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შესახებ შეტყობინების სიგნალების გადაცემა და გადაუდებელი ინფორმაციის მიწოდება;

ქ) სახანძრო უსაფრთხოების ზომები – ხანძრის გაჩენის თავიდან ასაცილებლად, ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მისი ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის და ხანძრის შედეგების შესამცირებლად განსახორციელებელი მოქმედებები;

ღ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები – სახანძრო უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი, სოციალური ან/და ტექნიკური ხასიათის სპეციალური პირობები;

ჟ) განსაკუთრებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი – საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის მომეტებული საფრთხის შესახებ მიღებული ინფორმაციის და მისი ანალიზის საფუძველზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გარკვეულ ტერიტორიაზე/ტერიტორიებზე დადგენილი დროებითი რეჟიმი, რომელიც ითვალისწინებს სახანძრო უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტებისა და ფიზიკური/იურიდიული პირის სპეციალურ



ქცევის წესებს;

შ) სავალდებულო ოპერაციები – საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის საფრთხის ან საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის დროს, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისას, აუცილებლობის შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის ორგანოს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ვალდებულების დაკისრება შესაბამისი ქმედების განხორციელების ან ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების მიზნით;

ჩ) საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნები – საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი, სოციალური ან/და ტექნიკური ხასიათის სპეციალური წესები;

ც) სახანძრო-სამაშველო დანაყოფი – ხანძრის პროფილაქტიკისა და ჩაქრობის, საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების, საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების, აგრეთვე შესაბამის ტერიტორიაზე ან ორგანიზაციაში ადამიანთა ძებნისა და სხვა სამაშველო სამუშაოების ჩატარების მიზნით შექმნილი დანაყოფი;

ძ) ზედამხედველობა – ობიექტებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების და საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების შემოწმება და სათანადო რეაგირების ღონისძიებების განხორციელება;

წ) თავშესაფარი – შენობა ან ნაგებობა, რომელიც საგანგებო სიტუაციის ან საომარი მოქმედებების დროს, გარკვეულ პერიოდში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა დამაზიანებელი ფაქტორისაგან ადამიანის დასაცავად. თავშესაფარი შეიძლება იყოს ორმაგი დანიშნულების, სამოქალაქო ან სამრეწველო შენობა ან/და სპეციალური ჰერმეტული დამცავი ნაგებობა, რომელიც დამაზიანებელი ფაქტორების გათვალისწინებით არის დაპროექტებული;

ჭ) საოჯახო სასტუმრო – სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნებისთვის, გასაქირავებლად განკუთვნილი ან გამოყენებული არანაკლებ 3, ერთმანეთისგან იზოლირებული, საცხოვრებლად და საძინებლად მოწყობილი სამყოფისაგან შემდგარი შენობა/შენობები, სადაც შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყოს კვება;

ხ) მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტი – მუნიციპალიტეტში საგანგებო სიტუაციის რისკის ხარისხის, მოსალოდნელი შედეგების, მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ საგანგებო სიტუაციის პრევენციისათვის განხორციელებული საქმიანობის შეფასებისა და მის მიერ საგანგებო სიტუაციის რისკის შემცირების მიზნით ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების დასაგეგმავად წინასწარ შემუშავებული დოკუმენტი;

ჯ) პოტენციურად საშიში ობიექტის უსაფრთხოების პასპორტი – პოტენციურად საშიში ობიექტის მომსახურე პერსონალისათვის და მისი მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობისათვის საგანგებო სიტუაციის რისკის ხარისხის, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შესაძლებლობის, საგანგებო სიტუაციის შედეგების განსაზღვრის, საგანგებო სიტუაციის შედეგების მეზობელ ობიექტზე ზემოქმედების, საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის მზადყოფნის შეფასების, აგრეთვე პოტენციურად საშიშ ინიციატივისაგან შემცირების მიზნით ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების დასაგეგმავად წინასწარ შემუშავებული დოკუმენტი;

ჰ) ეროვნული სიტუაციური ოთახი – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამისი ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვილი პუნქტი, რომელიც აქტიურდება ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის დროს, სადაც ხდება ინციდენტის ადგილიდან ინფორმაციის (მათ შორის, ვიდეო- და აუდიოსიგნალების) ოპერატიულად მიღება/დამუშავება და საიდანაც ხორციელდება საგანგებო სიტუაციის სტრატეგიულ (პოლიტიკურ) და ოპერაციულ დონეებზე მართვა საგანგებო სიტუაციის შედეგების ლიკვიდაციაში ჩართულ უწყებათა კოორდინირებული მუშაობის მიზნით;

ჸ<sup>1</sup>) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურე (შემდგომ – მოსამსახურე) – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის



იურიდიული პირის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დანიშნული მოსამსახურე, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

3<sup>2</sup>) მეხანძრე-მაშველი – პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს ხანძრის პროფილაქტიკასა და ჩაქრობას, ატარებს სამაშველო/სავარიო-სამაშველო სამუშაოებს, ახორციელებს საგანგებო სიტუაციის პრევენციას და მასზე რეაგირებას, მართავს და ორგანიზებას უწევს ამ ღონისძიებებს, აქვს შესაბამისი სპეციალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება, თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

## თავი II

### სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემა, მისი სუბიექტებისა და ფიზიკური პირების ფუნქციები და მოვალეობები

#### მუხლი 4. სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემა

1. სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემა (შემდგომ – ეროვნული სისტემა) არის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქართველოს დაწესებულებების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების, მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და სახელმწიფო რწმუნებულების (ეროვნული სისტემის სუბიექტების) ერთიანი ქსელი, რომელიც სტრატეგიულ (პოლიტიკურ), ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეებზე, სათანადო რესურსებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით ახორციელებს შესაბამის კომპლექსურ ღონისძიებებს საომარი მდგომარეობით, ბუნებრივი ან/და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტისაგან/საგანგებო სიტუაციისაგან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოს ან/და ქონების დაცვის მიზნით.

2. ეროვნული სისტემა უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციის მართვის უწყვეტი პროცესის ძირითადი ფაზების (საგანგებო სიტუაციის პრევენცია, საგანგებო სიტუაციისათვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება, აღდგენითი სამუშაოების ჩატარება) დროს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, რეაგირების ძალების საქმიანობის ორგანიზებას, მათ მართვას და მატერიალური რესურსების შექმნას.

3. ეროვნული სისტემის წამყვანი ორგანო მშვიდობიან პერიოდში არის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, რომლის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტი წარმოადგენს ეროვნული სისტემის ძირითად საოპერაციო ძალებს.

4. ეროვნული სისტემის სუბიექტების ჩამონათვალი, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მათი კომპეტენცია, საგანგებო სიტუაციის პრევენციის, საგანგებო სიტუაციისათვის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების ჩატარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის მართვასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის ამ კანონით, განისაზღვრება „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელიც ეროვნული სისტემის სუბიექტებთან კოორდინაციით მუშავდება და რომელსაც სამინისტრო დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

5. მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციის ხასიათიდან გამომდინარე, ეროვნული სისტემა ფუნქციონირებს ამ კანონის მე-16-მე-18 მუხლებითა და სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმით განსაზღვრული საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელობით. ინციდენტის საგანგებო სიტუაციად გარდაქმნის შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილებით, ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტები გადადიან მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

#### მუხლი 5. ეროვნული სისტემის სუბიექტების მოვალეობები



1. ეროვნული სისტემის სუბიექტები, გარდა ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებისა, მათი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სფეროებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ:

- ა) საგანგებო სიტუაციის რისკის მართვას – საფრთხის იდენტიფიცირებას, საგანგებო სიტუაციის რისკისა და მისი ზემოქმედების ანალიზს და მის საფუძველზე საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის შემუშავებას;
- ბ) საგანგებო სიტუაციის პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, მათ შორის, საგანგებო სიტუაციის რისკის შემცირების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას;
- გ) საგანგებო სიტუაციისათვის მზადყოფნას;
- დ) ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას;
- ე) ინციდენტისაგან/საგანგებო სიტუაციისაგან ადამიანის, გარემოსა და ქონების დაცვას;
- ვ) ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების სისტემის, მათ შორის, ადრეული შეტყობინების სისტემის, განვითარებას;
- ზ) ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების დროულად გადაცემას და ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის დროს ქცევის წესების შესახებ ინფორმირებას;
- თ) აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას;
- ი) სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტის უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობას;
- კ) საგანგებო სიტუაციის დროს, აუცილებლობის შემთხვევაში, ადამიანებისათვის თავშესაფრის შექმნას, პირველადი მოხმარების საგნების, კვების პროდუქტებისა და წყლის მომარაგებას, ინდივიდუალური/კოლექტიური დაცვის საშუალებების და სხვა მატერიალური რესურსების მობილიზებას;
- ლ) ჰუმანიტარული დახმარების ღონისძიებების ორგანიზებას;
- მ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებასა და გაცვლას;
- ნ) საგანგებო მართვის გეგმის შემუშავებას;
- ო) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს მოქალაქეების მომზადებას და საგანგებო სიტუაციის შესახებ მათი ცნობიერების ამაღლებას;
- პ) სახანძრო-სამაშველო დანაყოფის ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის ადგილზე მისვლამდე ადამიანებისა და ქონების გადასარჩენად აუცილებელი ზომების მიღებას;
- ჟ) ადამიანების ევაკუაციის ორგანიზებაში დახმარების გაწევას და, აუცილებლობის შემთხვევაში, მათ თავშესაფარში მოთავსებას;
- რ) მათ სარგებლობაში არსებული თავშესაფრისათვის თვისებრივი მახასიათებლების შენარჩუნებას;
- ს) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებას.

2. მუნიციპალიტეტის ორგანოები ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს დელეგირების საფუძველზე ახორციელებენ. მუნიციპალიტეტისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა, ხოლო აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებას დებს სამინისტრო.



3. ორგანიზაციები თავიანთი საქმიანობის სფეროებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ:

- ა) საგანგებო სიტუაციის პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას;
- ბ) საგანგებო მართვის გეგმის შემუშავებას;
- გ) რეაგირების ძალების მზადყოფნას და ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისათვის საჭირო მატერიალური რესურსების მობილიზებას;
- დ) მოსალოდნელი ან წარმოქმნილი ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის ორგანოსათვის გაგზავნას;
- ე) სახანძრო-სამაშველო დანაყოფის ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის ადგილზე მისვლამდე ადამიანების, ქონების ან/და გარემოს გადასარჩენად აუცილებელი ზომების მიღებას;
- ვ) თავიანთი თანამშრომლების და მოსალოდნელ საგანგებო სიტუაციის ზონაში მყოფი სხვა პირების სწავლებას;
- ზ) მათ სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების სისტემის, მათ შორის, ადრეული შეტყობინების სისტემის, ელემენტების მუდმივ მზადყოფნას;
- თ) მათ სარგებლობაში არსებული თავშესაფრისათვის თვისებრივი მახასიათებლების შენარჩუნებას;
- ი) საგანგებო სიტუაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, მათ შორის, ამ მიზნით კომუნიკაციის გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას;
- კ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებას.

4. ეროვნული სისტემის სუბიექტები ვალდებული არიან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს მიაწოდონ ინფორმაცია ინციდენტის/ მოსალოდნელი ან წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის შესახებ.

5. საგანგებო მართვის გეგმისა და საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის შემუშავების წეს ადგენს საქართველოს მთავრობა.

6. ბუნებრივ და ადამიანური ფაქტორით გამოწვეულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით ეროვნული სისტემის სუბიექტები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ მატერიალური რესურსების შექმნას. ბუნებრივ და ადამიანური ფაქტორით გამოწვეულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით მატერიალური რესურსების შექმნისა და გამოყენების წეს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

**მუხლი 6. საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთა მოვალეობები**  
სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს მოქალაქე, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირი ვალდებულია:

- ა) ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;
- ბ) რეაგირების ძალების ინციდენტის ადგილზე მისვლამდე შეძლებისდაგვარად მიიღოს შესაბამისი ზომები ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, გარემოს ან/და ქონების გადასარჩენად;
- გ) შეასრულოს სავალდებულო ოპერაციების ფარგლებში დაკისრებული ვალდებულება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები;
- დ) არ მიიღოს მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებულ ისეთ ქმედებებში, რომლებიც საფრთხეს



უქმის მის ან სხვის სიცოცხლეს ან/და რომლებიც საგანგებო სიტუაციის რისკს გაზრდის, ან თავად არ ჩამოიწყოს ასეთი ქმედებები.

## მუხლი 7. მოხალისეობა

1. სახელმწიფო ხელს უწყობს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისეობას.
2. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისე შეიძლება იყოს ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს არ შეუმლის მოხალისეობრივი საქმიანობის განხორციელებაში და რომელიც მზად არის, თავისი ცოდნისა და უნარების გამოყენებით, ნებაყოფლობით განახორციელოს საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობა.
3. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისედ ითვლება პირი, რომელიც დარეგისტრირებულია მოხალისეთა ეროვნულ სიაში. პირის მოხალისეთა ეროვნულ სიაში დარეგისტრირებისას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოხალისესთან დებს მოხალისეობის შესახებ ხელშეკრულებას. პირი, რომელიც არ არის დარეგისტრირებული მოხალისეთა ეროვნულ სიაში, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ან საგანგებო სიტუაციის ლიკვიდაციის ღონისძიებების განხორციელებისას დაიშვება მხოლოდ დამხმარე ფუნქციების შესასრულებლად.
4. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უზრუნველყოფს მოხალისეთა ეროვნულ სიაში დარეგისტრირებული პირების (მოხალისეების) მომზადებას მათთვის საბაზისო უნარების ჩამოყალიბების მიზნით, ხელს უწყობს მოხალისეების თვითორგანიზებას ტერიტორიული პრინციპით, მათი კვალიფიკირებული უნარებიდან გამომდინარე ან სხვა ნიშნით, და მოხალისეთა საერთაშორისო ორგანიზაციებში მათ გაწევრებას. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უფლებამოსილია მოხალისეებს და მათი ოჯახის წევრებს მისცეს შესაძლებლობა, ისარგებლონ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბალანსზე არსებული ინფრასტრუქტურით თვითგანვითარების მიზნით (მათ შორის, სავარჯიშოდ, საგანმანათლებლო მიზნით), სხვა სახელმწიფო უწყებებთან, მუნიციპალიტეტებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად დაგეგმონ და განახორციელონ სიმულაციური ვარჯიშები, საველე სწავლებები, საწვრთნელი შეკრებები, სხვა ღონისძიებები და წამახალისებელი პროექტები. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უფლებამოსილია მოხალისეებს მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით დროებით სარგებლობაში გადასცეს შესაბამისი აღჭურვილობა.
5. მოხალისეთა ეროვნულ სიაში დარეგისტრირებულ პირზე (მოხალისეზე) ვრცელდება ამ კანონის 62-ე მუხლით, 65-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებითა და 66-ე მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველისთვის დაწესებული სოციალური დაცვის გარანტიიები. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უფლებამოსილია სათანადო დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მოხალისეთა ეროვნულ სიაში დარეგისტრირებულ პირს (მოხალისეს) აუნაზღაუროს საგანგებო სიტუაციის ადგილამდე მგზავრობის ხარჯი, აგრეთვე, საგანგებო სიტუაციის სპეციფიკიდან და მასზე რეაგირების ღონისძიების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, იზრუნოს მის კვებასა და განთავსებაზე.
6. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების დროს მოხალისის ქმედებით მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოხალისემ აღნიშნული ქმედება განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიდინა. მოხალისე ვალდებულია აანაზღაუროს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი.
7. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში პირის მოხალისეთა ეროვნულ სიაში დარეგისტრირებისა და მოხალისეთა ეროვნული სიიდან ამორიცხვის წესი, აგრეთვე მოხალისეობრივი საქმიანობის ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს მოხალისეთა წესდებით, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

## მუხლი 8. საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭო



1. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავების, ეროვნული სისტემის განვითარების, შესაბამისი რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან სამეცნიერო-კვლევითი სფეროს ან/და დარგობრივი საექსპერტო წრეების წარმომადგენელთაგან იქმნება საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭო.

2. საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს წევრობა არ ანაზღაურდება. საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ და მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

3. საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს დაკომპლექტებისა და ფუნქციონირების წესი მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

## მუხლი 9. სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების დაფინანსება

1. ამ კანონით, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმითა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებები ფინანსდება შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების ბიუჯეტებიდან და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით.

2. სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებებს ორგანიზაციები ამ კანონით მათთვის მინიჭებული უფლებებისა და დაკისრებული მოვალეობების ფარგლებში აფინანსებენ საკუთარი სახსრებით, ხოლო საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და სამედიცინო დაწესებულებები – შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე.

## თავი III

### საგანგებო სიტუაციის პრევენცია და მზადყოფნა

## მუხლი 10. საგანგებო სიტუაციის პრევენცია

1. საგანგებო სიტუაციის პრევენცია არის ადამიანების, გარემოსა და ქონებისდასაცავად საგანგებო სიტუაციის რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების, საგანგებო სიტუაციის რისკის ან/და მასთან დაკავშირებული უარყოფითი ზემოქმედების შემცირების (მიტიგაციის) ან თავიდან აცილების მიზნით განხორციელებული სამართლებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, საინჟინრო-ტექნიკური, სანიტარიულ-ჰიგიენური, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს:

ა) საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის ალბათობის განსაზღვრის, მონიტორინგისა და თავიდან აცილების ღონისძიებებს;

ბ) სახიფათო ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების დამაზიანებელი პოტენციალის სისტემატური შემცირებისთვის მიღებულ ზომებს და შესაბამის საინჟინრო-ტექნიკურ ღონისძიებებს;

გ) სამრეწველო ავარიის თავიდან აცილების, საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესის უსაფრთხოებისა და მოწყობილობის ექსპლუატაციის საიმედოობის ამაღლების მიზნით მიღებულ ზომებს;

დ) საგანგებო სიტუაციის რისკის რუკის მომზადებას, საქართველოს ტერიტორიისა და ქალაქების ჯგუფებად დაყოფას და ორგანიზაციების კატეგორიებად დაყოფას;

ე) პოტენციურად საშიში ობიექტის უსაფრთხოების პასპორტისა და მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შედგენას;

ვ) ადამიანთა ცნობიერების ამაღლების მიზნით საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას;

ზ) სხვა პრევენციულ ღონისძიებებს.



2. საგანგებო სიტუაციის პრევენციას ეროვნული სისტემის სუბიექტები ახორციელებენ სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის, „ბუნებრივი საგანგებო სიტუაციების პრევენციის ღონისძიებების შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ და „საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დაღვრის პრევენციისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებების, საგანგებო მართვის გეგმისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

4. მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

## მუხლი 11. ობიექტების კლასიფიკაცია

1. მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის დამაზიანებელი ფაქტორების შეფასებისა და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები, მათი თავდაცვითი, ეკონომიკური, პოტენციური საშიშროებიდან ან/და სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, იყოფა კატეგორიებად, რომლებსაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

2. პოტენციურად საშიში ობიექტი შეიმუშავებს პოტენციურად საშიში ობიექტის უსაფრთხოების პასპორტსა და დეკლარაციას და მათ წარუდგენს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამის დანაყოფს. პოტენციურად საშიში ობიექტის უსაფრთხოების პასპორტისა და დეკლარაციის შემუშავების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

## მუხლი 12. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთა ინფორმირება

1. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთა ინფორმირებას უზრუნველყოფენ ეროვნული სისტემის სუბიექტები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მხედველობადაქვეითებულ და სმენადაქვეითებულ პირთა) ინფორმირება ხორციელდება მათთვის გასაგები ფორმით.

2. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთა ინფორმირება ხორციელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, სპეციალური ლიტერატურითა და საზოგადოების ინფორმირების სხვა ფორმებით.

3. საგანგებო სიტუაციის დროს, როდესაც საფრთხე ექმნება/შეიძლება შეექმნას ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია, რომელიც ახორციელებს მობილური საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფას ან/და მომსახურებას, და საზოგადოებრივი მაუწყებელი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნით უზრუნველყოფენ საქართველოს მოქალაქეთათვის და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთათვის საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინებისა და სხვა ინფორმაციის გადაცემას.

4. საგანგებო სიტუაციის შესახებ საქართველოს მოქალაქეთათვის და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთათვის გადასაცემი შეტყობინება და სხვა ინფორმაცია მოიცავს:

ა) მოსალოდნელი ან წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის და მისი გავრცელების საზღვრების შესახებ მონაცემებს;

ბ) ორგანიზაციების საქმიანობის სფეროების შესახებ მონაცემებს და ამ საქმიანობიდან მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის ადამიანსა და გარემოზე ზემოქმედების შესახებ მონაცემებს;

გ) მოსალოდნელი ან წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის შედეგების შესახებ მონაცემებს;

დ) საგანგებო სიტუაციაში ქცევის წესებს;



ე) საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთა დასაცავად მიღებული ზომების შესახებ მონაცემებს.

5. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს მოქალაქეთათვის და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთათვის შეტყობინების გადაცემა ხორციელდება ინციდენტის/მოსალოდნელი ან წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების სისტემის მეშვეობით, რომლის დებულებას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

### მუხლი 13. რეაგირების ძალებისა და საქართველოს მოქალაქეთა მომზადება და მზადყოფნა

1. ეროვნული სისტემის სუბიექტები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფენ საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირებისათვის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემენით რეაგირების ძალებისა და საქართველოს მოქალაქეთა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული პროგრამებით მომზადებასა და მზადყოფნას.

2. რეაგირების ძალებისა და საქართველოს მოქალაქეთა მზადყოფნა ხორციელდება კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვით, რომელიც უზრუნველყოფს მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციის წინასწარ განსაზღვრისა და მასზე დაუყოვნებლივ რეაგირების მიზნით ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემენას.

3. სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და საგანგებო სიტუაციაში ქცევის წესების, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლებას უზრუნველყოფენ აღნიშნული დაწესებულებები საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული პროგრამებით.

4. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უფლებამოსილია საგანგებო სიტუაციის პრევენციის, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავების უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმოს და განახორციელოს მიზნობრივი პროექტები, მათ შორის, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ან/და არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

5. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში რეაგირების ძალებისა და საქართველოს მოქალაქეთა მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით ტარდება აგრეთვე სამოქალაქო უსაფრთხოების ვარჯიში (შემდგომ – ვარჯიში).

### 6. ვარჯიშის სახეებია:

- ა) სამეთაურო-საშტაბო ვარჯიში;
- ბ) ტაქტიკურ-სპეციალური ვარჯიში;
- გ) კომპლექსური ვარჯიში.

7. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს მოქალაქეთა მომზადების ორგანიზების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

## თავი IV

### ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის მართვა

### მუხლი 14. ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაცია

1. ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის მართვის მიზნით ინციდენტი/საგანგებო სიტუაცია, მისი წარმოქმნის ხასიათიდან გამომდინარე, იყოფა შემდეგ სახეებად:

- ა) ბუნებრივი;



ბ) ადამიანური ფაქტორით გამოწვეული (ტექნოგენური).

2. ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

## მუხლი 15. საგანგებო სიტუაციის კატეგორიები

1. საგანგებო სიტუაცია, მისი შედეგების, მისი ლიკვიდაციისათვის საჭირო რეაგირების ძალებისა და მატერიალური რესურსების რაოდენობის გათვალისწინებით, მისი ხასიათის, ადგილისა და საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების მასშტაბის მიხედვით, შეიძლება იყოს ადგილობრივი მნიშვნელობის ან ეროვნული მნიშვნელობის.

2. საგანგებო სიტუაცია ადგილობრივი მნიშვნელობისაა, თუ მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსალოდნელია, წარმოქმნილია ან/და განვითარებულია საგანგებო სიტუაცია, რომლის სამართავად, მისი ხასიათიდან გამომდინარე, საკმარისია ეროვნული სისტემის ერთი სუბიექტის რეაგირების ძალები და საშუალებები ან ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა რეაგირების ძალები და საშუალებები.

3. საგანგებო სიტუაცია ეროვნული მნიშვნელობისაა, თუ მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსალოდნელია, წარმოქმნილია ან/და განვითარებულია საგანგებო სიტუაცია:

ა) რომლის მართვა, მისი ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია ეროვნული სისტემის ერთი სუბიექტის რეაგირების ძალებითა და საშუალებებით ან ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა რეაგირების ძალებითა და საშუალებებით;

ბ) რომლის ზეგავლენა შეიძლება გავრცელდეს საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე და საფრთხე შეუქმნას ადამიანთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;

გ) რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ეროვნული საგანგებოს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნებას, საქართველოს „წითელ წიგნში“ ან „წითელ ნუსხაში“ შეტანილ იშვიათ და გადაშენების პირას მისულ ცხოველთა და მცენარეთა სახეობებს;

დ) რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს ეკონომიკას ან გარემოს;

ე) რომლის ლოკალიზაცია/ლიკვიდაცია ხანგრძლივად გრძელდება;

ვ) რომლის ლოკალიზაცია/ლიკვიდაცია საერთაშორისო დახმარებას საჭიროებს.

4. საგანგებო სიტუაციისთვის ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის კატეგორიის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას მინისტრის წარდგინების საფუძველზე იღებს საქართველოს მთავრობა.

5. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, განსაკუთრებულ შემთხვევაში, სამოქალაქო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე ან საგანგებო სიტუაციის რისკის გათვალისწინებით, მინისტრის წარდგინების საფუძველზე ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციას მიანიჭოს ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის კატეგორია.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

## მუხლი 16. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვა

1. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვა, გარდა ამ კანონის მე-17 და მე-18 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხორციელდება სტრატეგიულ (პოლიტიკურ), ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეებზე, ამ კანონით დადგენილი წესით.

2. ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვას ახორციელებს:

ა) სტრატეგიულ (პოლიტიკურ) დონეზე – საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი, რომელსაც პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამის



რეკომენდაციებსა და წინადადებებს წარუდგენს და ორგანიზაციულ, ტექნიკურ და საინფორმაციო-ანალიტიკურ დახმარებას უწევს სამინისტრო;

ბ) ოპერაციულ დონეზე – სამინისტრო ან მინისტრის წარდგინების საფუძველზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით შექმნილი უწყებათაშორისი ოპერატიული ცენტრი.

3. ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვას ახორციელებს:

ა) ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტი – ისეთი საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, რომლის სამართავად, მისი ხასიათიდან გამომდინარე, საკმარისია ეროვნული სისტემის ერთი სუბიექტის რეაგირების ძალები და საშუალებები;

ბ) ადგილობრივი საგანგებო შტაბი – ისეთი საგანგებო სიტუაციის შემთხვევების, რომლის სამართავად, მისი ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა რეაგირების ძალები და საშუალებები.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ამ კანონის, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმისა და საგანგებო მართვის გეგმის შესაბამისად, საკუთარი რესურსებით ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეებზე ორგანიზებას უწევს მოსალოდნელ, წარმოქმნილ ან განვითარებულ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას. ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტი ვალდებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს დაუყოვნებლივ მიაწოდოს საგანგებო სიტუაციის შესახებ ინფორმაცია.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადგილობრივი საგანგებო შტაბი იქმნება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის წარდგინების საფუძველზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ადგილობრივი საგანგებო შტაბის შემადგენლობაში შედიან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ტერიტორიული დანაყოფისა და ეროვნული სისტემის სხვა შესაბამისი სუბიექტების წარმომადგენლები. ადგილობრივი საგანგებო შტაბი ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეებზე ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს მოსალოდნელ, წარმოქმნილ ან განვითარებულ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას. ადგილობრივი საგანგებო შტაბს ხელმძღვანელობს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენლი.

6. ორგანო, რომელიც საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვას ოპერაციულ დონეზე ახორციელებს, უფლებამოსილია, ვითარების გათვალისწინებით, საგანგებო სიტუაციის ზონაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე შექმნას საველე ოპერაციების ერთი ან რამდენიმე შტაბი და დანიშნოს ამ შტაბის/შტაბების ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები. საველე ოპერაციების შტაბი/შტაბები ადგილზე ახორციელებს/ახორციელებს საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას და ტაქტიკურ დონეზე რეაგირების ძალების მართვას.

7. საველე ოპერაციების შტაბის შექმნამდე პირველად რეაგირებას ტაქტიკურ დონეზე ახორციელებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის ტერიტორიული დანაყოფი.

8. თუ საველე ოპერაციების შტაბი შექმნილია, რეაგირების ძალები, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა, საგანგებო სიტუაციის ზონაში მისვლისთანავე გადადიან საველე ოპერაციების შტაბის ხელმძღვანელის დაქვემდებარებაში.

9. ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის გამოცხადების შემთხვევაში საქართველოს სამინისტროები (გარდა სამინისტროსი) და საქართველოს მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულებების დაწესებულებები ქმნიან შინაუწყებრივ საგანგებო შტაბებს, რომლებსაც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან უწყებული კავშირი აქვთ და, ოპერაციულ დონეზე უწყებათაშორისი ოპერატიული ცენტრის შექმნის შემთხვევაში, მის შემადგენლობაში შეყვანის მიზნით წარადგენენ არანაკლებ უწყების ხელმძღვანელის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მოადგილეს ან/და სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელ თანამდებობის პირს.



10. სტრატეგიულ (პოლიტიკურ) და ოპერაციულ დონეებზე ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვა შეიძლება განხორციელდეს ეროვნული სიტუაციური ოთახის გამოყენებით. მის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

11. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების დროს ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელიც საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვას ოპერაციულ დონეზე ახორციელებს, შეიძლება შეიზღუდოს ან აიკრძალოს საგანგებო სიტუაციის ზონაში გადაადგილება/მოძრაობა.

12. საგანგებო სიტუაციის მნიშვნელობის მიხედვით საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება ხორციელდება სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის შესაბამისად.

13. საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უფლებამოსილია მოახდინოს მის მონაცემთა ბაზაში წინასწარ დარეგისტრირებული, შესაბამისი უნარების მქონე ვეტერანების მობილიზება და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებებში ჩართვა.

14. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოყენებულ იქნენ საქართველოს სამხედრო ძალების შესაბამისი დანაყოფები ან განხორციელდეს სამხედრო რეზერვში ჩარიცხულ პირთა მობილიზაცია.

15. საგანგებო სიტუაციის დროს რეაგირების ძალებისა და საშუალებების საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებებში ჩაბმა ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

16. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის ორგანო საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების დროს აკონტროლებს რეაგირების ხარისხს, ხოლო საგანგებო სიტუაციის შედეგების ლიკვიდაციის შემდეგ - აფასებს საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისას გამოვლენილ ხარვეზებს და რეაგირებას.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

**მუხლი 17. ტერორისტული საქმიანობით ან ადამიანური ფაქტორით გამოწვეულ სხვა საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვა**

1. ტერორისტული საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ექსტრემალური ვითარების და მისგან გამოწვეულ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვა ხორციელდება „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

2. ადამიანური ფაქტორით გამოწვეული საგანგებო სიტუაციის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და მართლწესრიგს და რომელზე რეაგირებაც დაკავშირებულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ძალის, იარაღის ან სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან, სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს რეაგირებას.

3. პენიტენციურ დაწესებულებებაში წარმოქმნილი კრიზისული ვითარების მართვა ხორციელდება პატიმრობის კოდექსით დადგენილი წესით.

4. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე ეროვნული სიტუაციური ოთახითა და საგანგებო სიტუაციის მართვის სხვა ტექნიკური საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობით უზრუნველყოს შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებები.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

**მუხლი 18. ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის მართვა საომარი მდგომარეობის დროს და სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობა მშვიდობიანობის დროს**

1. საომარი მდგომარეობის დროს ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის მართვა ხორციელდება



ეროვნული თავდაცვის გეგმის შესაბამისად.

2. მშვიდობიანობის დროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და შეიარაღებული მალების ურთიერთქმედების საკითხები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის გეგმით.

## მუხლი 19. ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების პროცედურები

1. ფიზიკური ან იურიდიული პირი ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში ვალდებულია დაუყოვნებლივ გაგზავნოს შეტყობინება ერთიანი სატელეფონო ნომრის – „112“-ის – საშუალებით და, შესაძლებლობის შემთხვევაში, საკუთარი ძალებით განახორციელოს ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციაზე პირველადი რეაგირება.

2. ერთიან სატელეფონო ნომერზე – „112“-ზე – შესული შეტყობინება მიეწოდება ეროვნული სისტემის შესაბამის მორეაგირე ორგანოს. ერთიან სატელეფონო ნომერზე – „112“-ზე – შესული შეტყობინების შესახებ ინფორმაციის ეროვნული სისტემის შესაბამისი მორეაგირე ორგანოსათვის მიწოდებისას და ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციაზე პირველადი რეაგირების განხორციელებისას სამინისტროსა და ეროვნული სისტემის შესაბამის მორეაგირე ორგანოს შორის კოორდინაციის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

3. ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტის რეაგირების ძალები ახდენენ სათანადო რეაგირებას. ინციდენტზე რეაგირების პროცესში ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტი აფასებს ინციდენტის ტიპსა და ხარისხს და, ინციდენტის საგანგებო სიტუაციად გარდაქმნის შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მართავს მას. თუ აშკარაა რისკი, რომ, საგანგებო სიტუაციის ხასიათიდან გამომდინარე, ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტის რეაგირების ძალები არ იქნება საკმარისი საგანგებო სიტუაციის სამართავად ან/და ამ საგანგებო სიტუაციის მართვა სცდება ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტის კომპეტენციას, ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს მიმართავს ადგილობრივი საგანგებო შტაბის შექმნის საჭიროების შესახებ.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

## მუხლი 20. ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის და მისი შედეგების აღრიცხვა


1. საგანგებო სიტუაციის პრევენციის, საგანგებო სიტუაციისათვის მზადყოფნის და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ქმნის და აწარმოებს ერთიან საინფორმაციო ბანკს, რომელშიც აისახება ინფორმაცია მოსალოდნელი და წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისა და ეროვნული სისტემის სუბიექტების რეაგირების ძალების შესახებ, აგრეთვე პოტენციურად საშიში ობიექტების უსაფრთხოების პასპორტის მონაცემები და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული ვითარების ანალიზის მომზადებისათვის საჭირო, ეროვნული სისტემის სუბიექტების ხელთ არსებული სხვა მონაცემები.

2. ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის და მისი შედეგების ოფიციალურ სტატისტიკურ აღრიცხვას, ანალიზს და სახელმწიფო სტატისტიკურ ანგარიშგებას ახორციელებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

3. ინციდენტის/მოსალოდნელი ან წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის და მისი შედეგების აღრიცხვისა და მონაცემთა დამუშავების წესის შესრულება სავალდებულოა სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებისათვის, აგრეთვე იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან.

მუხლი 21. საგანგებო სიტუაციისაგან საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთა დაცვის ძირითადი ღონისძიებები

1. საგანგებო სიტუაციისაგან საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა



პირთა დაცვის მირითადი ღონისძიებებია: მათი ევაკუაცია ან/და თავშესაფრებში მოთავსება, მათი სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო და ბიოლოგიური დაცვის ღონისძიებები და მათი ფსიქოლოგიური დახმარების მიზნით განსახორციელებელი სამოქალაქო უსაფრთხოების სხვა ღონისძიებები.

2. საგანგებო სიტუაციისაგან სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტის პერსონალი დაცული უნდა იქნეს თავშესაფარში.

3. მეტროპოლიტენის მიწისქვეშა ნაგებობა, გამოქვაბული, ბუნკერი და გვირაბი, აგრეთვე თავშესაფრად ვარგისი შენობა-ნაგებობის მიწისქვეშა სართული და სათავსი (მათ შორის, ორმაგი დანიშნულების) შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავშესაფრად.

4. თავშესაფრის მოვლა-პატრონობას და მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებას უზრუნველყოფენ ქონების მფლობელობის, განკარგვის ან/და ამ ქონებით სარგებლობის უფლებამოსილების მქონე პირები.

5. თავშესაფრებს და თავშესაფრად ვარგის შენობა-ნაგებობებსა და სათავსებს დადგენილი წესით აღრიცხავენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფები.

6. თავშესაფრის და თავშესაფრად ვარგისი შენობა-ნაგებობის და სათავსის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლა შესაძლებელია სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თავშესაფრის გასხვისება დაუშვებელია სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

7. საგანგებო სიტუაციის ზონიდან ან/და მისი მიმდებარე ტერიტორიიდან ფიზიკური პირების, მატერიალური ფასეულობებისა და ცხოველების ევაკუაციის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის დროს იღებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის დროს – მინისტრი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის წარდგინებით. ევაკუაციის შესახებ გადაწყვეტილება აღსრულდება სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის შესაბამისად.

8. ადამიანთა სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო და ბიოლოგიური დაცვის ღონისძიებები და მათი განხორციელების ორგანიზება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

9. თავშესაფრების მახასიათებლები და მათი აღრიცხვის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

## მუხლი 22. სავალდებულო ოპერაციები

1. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების დროს ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან შეასრულონ სავალდებულო ოპერაციების ფარგლებში დაკისრებული ვალდებულებები საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით.

2. სავალდებულო ოპერაციები სრულდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სისტემის სუბიექტების რეაგირების ძალები და მატერიალური რესურსები არ არის საკმარისი საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისათვის.

3. სავალდებულო ოპერაციების ფარგლებში დაკისრებული ვალდებულების შესრულების დროს გაწეული ხარჯი და მიყენებული ზიანი ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აუნაზღაურდებათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 23. მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერა



1. ამ კანონის მიზნებისთვის მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერა გულისხმობს საერთაშორისო დახმარების მოთხოვნის გაგზავნის და მოთხოვნის მიღების ორგანიზებას. საერთაშორისო დახმარების მოთხოვნა მოიცავს საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისათვის საჭირო პერსონალის, მატერიალური საშუალებების, სპეციალური ტექნიკის, ქვეყნის ტერიტორიის ტრანზიტისათვის გამოყენებისა და სხვა აუცილებელი საჭიროებების მოთხოვნას.

2. საგანგებო სიტუაციის განვითარების დროს ან გარდაუვალი საგანგებო სიტუაციის დადგომამდე, როდესაც, წინასწარი შეფასებით, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება შეუძლებელია ან დიდ დროს მოითხოვს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური საჭიროებების, ზარალისა და შიდა, ეროვნული შესაძლებლობების შეფასების საფუძველზე, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებთან კოორდინაციით განსაზღვრავს საერთაშორისო დახმარების მოთხოვნის საჭიროებას და საერთაშორისო დახმარების მოთხოვნის შესახებ წინადადებას წარუდგენს მინისტრს. საერთაშორისო დახმარების მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას მინისტრის წარდგენის საფუძველზე იღებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი, თუ ასეთი პირი განსაზღვრულია ამ კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

3. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ წარდგენილ საერთაშორისო დახმარების მოთხოვნის თაობაზე წინადადებაში აისახება საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისათვის საჭირო მატერიალური რესურსებისა და საერთაშორისო პერსონალის ჩამონათვალი. აღნიშნული ჩამონათვალი, საგანგებო სიტუაციის დროს შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სისტემატურად უნდა განახლდეს.

4. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ საერთაშორისო დახმარების მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით საერთაშორისო დახმარების მოთხოვნას უგზავნის შესაბამის ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

5. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ღონისძიებების ორგანიზების წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

## თავი V

### ხანძრის ჩაქრობა, სამაშველო და საავარიო-სამაშველო სამუშაოები

#### მუხლი 24. სახანძრო-სამაშველო დანაყოფის სახეები

1. სახანძრო-სამაშველო დანაყოფის სახეებია:

ა) სახელმწიფო – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისადმი დაქვემდებარებული სახანძრო-სამაშველო დანაყოფი;

ბ) საუწყებო – სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ შექმნილი სახანძრო-სამაშველო დანაყოფი;

გ) კერძო – მეწარმე სუბიექტის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ შექმნილი სახანძრო-სამაშველო დანაყოფი.

2. საუწყებო სახანძრო დაცვის დანაყოფის შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით.

3. კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფების საქმიანობისა და შემოწმების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით.

4. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო დანაყოფის საქმიანობის ორგანიზების წესს ამზადებს მინისტრი.



5. საუწყებო და კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფებს მეთოდურ დახმარებას უწევს, აგრეთვე კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფს ამოწმებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

6. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, პოტენციურად საშიში, ეროვნული საგანძურის და კულტურული მემკვიდრეობის იმ ობიექტების ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია სახანძრო-სამაშველო დანაყოფის შექმნა, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

## მუხლი 25. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების სამართლებრივი რეგულირება

1. საქართველოს მთავრობის მიერ მისაღები ნორმატიული აქტის პროექტი, აგრეთვე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გამოსაცემი ნორმატიული აქტის პროექტი, რომელიც ადგენს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს, უნდა შეთანხმდეს სამინისტროსთან. დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მისაღებ ნორმატიულ აქტზე სამართლებრივი ზედამხედველობა ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად.

2. სახანძრო უსაფრთხოების მირითადი მოთხოვნები, მათ შორის, სახანძრო ჰიდრანტების მოწყობისა და ექსპლუატაციის საკითხები, განისაზღვრება „ტექნიკური რეგლამენტის – სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

## მუხლი 26. სახანძრო უსაფრთხოების ზომების შემუშავება და მიღება

1. სახანძრო უსაფრთხოების ზომები მუშავდება ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილების, ნივთიერების, მასალის, ტექნოლოგიური პროცესის, ნაკეთობის, კონსტრუქციის, შენობის, ნაგებობის ხანძარსაშიშროების შეფასების საფუძველზე.

2. ნივთიერების, მასალის, ნაკეთობისა და დანადგარის დამამზადებელი (მიმწოდებელი) ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითოს მათი ხანძარსაშიშროების მაჩვენებლები, აგრეთვე მათთან მუშაობისათვის აუცილებელი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები.

3. მეწარმე სუბიექტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შენობის, ნაგებობის, სხვა ობიექტის სახანძრო უსაფრთხოების ზომების შემუშავებისას და მიღებისას, აგრეთვე ამ ობიექტის დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ხანძრის დროს ადამიანების ევაკუაციის უზრუნველყოფის ღონისძიები.

4. აფეთქებახანძარსაში მიექტი ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების გათვალისწინებით შეიმუშავებს ხანძრის ჩაქრობის გეგმას.

## მუხლი 27. ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზება

1. ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის დროს ხანძრის ჩაქრობას და საავარიო-სამაშველო სამუშაოებს ორგანიზებას უწევს და შესაბამისი ღონისძიებების მართვას უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

2. ხანძრის ჩასაქრობად და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად სახანძრო-სამაშველო დანაყოფები გადიან, ხანძარს აქრობენ ან/და საავარიო-სამაშველო სამუშაოებს ატარებენ უპირობო წესით.

3. ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის დროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მინისტრთან შეთანხმებით, ხოლო ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის დროს – საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია



ხანძრის ჩაქრობის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხანძრის ჩაქრობის ღონისძიებებში ჩაბას ეროვნული სისტემის სუბიექტების რეაგირების ძალები, მათ შორის, უწყებრივი სახანძრო-სამაშველო დანაყოფები. ამ შემთხვევაში ხანძრის ჩაქრობას კოორდინაციას უწევს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

4. ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის დროს ხანძრის მართვა ხორციელდება ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილი წესით.

5. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხანძრის ჩაქრობას ტაქტიკურ დონეზე უშუალოდ ხელმძღვანელობს ადგილზე მისული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო დანაყოფის უფროსი თანამდებობის პირი, რომელიც მართავს ხანძრის ჩაქრობაში მონაწილე სახანძრო-სამაშველო დანაყოფების პირად შემადგენლობას და ხანძრის ჩაქრობაში ჩაბმულ სხვა ძალებს/პირებს.

6. ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელი ადგენს იმ ტერიტორიის საზღვრებს, სადაც ხორციელდება ხანძრის ჩაქრობის ღონისძიებები, იღებს გადაწყვეტილებებს ხანძრის ჩაქრობის, აგრეთვე ადამიანების, გარემოსა და ქონების გადარჩენის მიზნით ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

7. ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ხანძრის ჩაქრობაში მონაწილე სახანძრო დაცვის პირადი შემადგენლობისა და ხანძრის ჩაქრობაში ჩაბმული სხვა ძალების/პირების უსაფრთხოებისათვის.

8. ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის მითითების შესრულება სავალდებულოა იმ ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის, სადაც ხორციელდება ხანძრის ჩაქრობის ღონისძიებები. ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის მოქმედებაში ჩარევა ან მისი განკარგულების შეცვლა დაუშვებელია.

9. სახანძრო-სამაშველო დანაყოფის პირადი შემადგენლობა და საგანგებო სიტუაციის შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილე სხვა პირები, რომლებიც ხანძრის ჩაქრობისას და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებისას უკიდურესი აუცილებლობის ან/და გონივრული რისკის პირობებში მოქმედებდნენ, თავისუფლდებიან მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

10. ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების/სამაშველო სამუშაოების ჩატარების წესი მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

## მუხლი 28. განსაკუთრებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი

განსაკუთრებული ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის მოქმედების დროს გარკვეულ ტერიტორიაზე შეიძლება დადგინდეს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების დამატებითი მოთხოვნები, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებს დასახლებული პუნქტის ტერიტორიის საზღვრების გარეთ ხანძრის ლოკალიზაციაში მოსახლეობის ჩაბმას, ფიზიკური პირებისთვის ტყეში შესვლის შეზღუდვას ან დამატებითი ზომების მიღებას (დასახლებული პუნქტის ტერიტორიის საზღვრებს შორის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გაზრდა, ხანძარსაწინააღმდეგო მინერალიზებული ზოლების შექმნა), რომლებიც შეზღუდავს ტყის ხანძრისა და სხვა ხანძრის გავრცელებას დასახლებული პუნქტის ტერიტორიის საზღვრების გარეთ, მომიჯნავე ტერიტორიაზე.

თავი VI

## აღდგენითი სამუშაოები

### მუხლი 29. აღდგენითი სამუშაოების ჩატარება

1. საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენით სამუშაოებს დარგობრივი კომპეტენციის შესაბამისად ატარებენ სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებები, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოები, საქართველოს მოქალაქეების, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირების და ორგანიზაციების მონაწილეობით.



2. აღდგენითი სამუშაოები ტარდება საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის დასრულების ფაზაში ან მისი დასრულებისთანავე.

3. აღდგენითი სამუშაოები მოიცავს:

ა) დაზიანებული ან შეფერხებული სატრანსპორტო უზრუნველყოფის აღდგენას;

ბ) საკომუნიკაციო ქსელებსა და ხაზებზე დაზიანების აღმოფხვრას;

გ) ენერგომომარაგების აღდგენის სამუშაოების ორგანიზებას;

დ) აუცილებელი ინფრასტრუქტურის ელემენტების აღდგენას;

ე) მოსახლეობის სასიცოცხლო უზრუნველყოფისთვის საჭირო მინიმალური პირობების შექმნას;

ვ) ტერიტორიის სანიტარიული გაწმენდისა და გაუსწებოვნების მიზნით სამუშაოების ჩატარებას;

ზ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

თ) სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებას;

ი) სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელებას.

4. აღდგენითი სამუშაოები ტარდება სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის შესაბამისად.

### მუხლი 30. აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება

საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას კოორდინაციას უწევს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

### თავი VII

#### სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ზედამხედველობა

### მუხლი 31. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ზედამხედველობა

1. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებზე, აგრეთვე ფიზიკური პირის მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების, საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების შემოწმების და მისი შედეგების მიხედვით ზომების მიღების მიზნით ზედამხედველობას ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

2. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ ზედამხედველობის განხორციელების წესი განისაზღვრება „სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ზედამხედველობის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

### მუხლი 32. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები

1. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტებია:

ა) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების კუთვნილი შენობა-ნაგებობები;



ბ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, სპორტული, სამედიცინო და სანახაობრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობები;

გ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეტანილი ობიექტები;

დ) 28 მეტრზე მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობები;

ე) 2 და 2-ზე მეტი მიწისქვეშა სართულის მქონე საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობები;

ვ) მრავალფუნქციური შენობები და კომპლექსები, სავაჭრო ცენტრები და კომპლექსები, ჰიპერმარკეტები, საკლუბო და გასართობ-დასასვენებელი ცენტრები, სასტუმროების (მათ შორის, საოჯახო სასტუმროს), ტურისტული ბაზების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, კემპინგების და საზოგადოებრივი კვების ობიექტების (რესტორნების) შენობა-ნაგებობები;

ზ) 2000 მ<sup>2</sup> და 2000 მ<sup>2</sup>-ზე მეტი საერთო ფართობის მქონე საცალო და საბითუმო სავაჭრო დანიშნულების შენობა-ნაგებობები/ტერიტორია;

თ) სარკინიგზო ტრანსპორტისა და საავტომობილო ტრანსპორტის სადგურები, აგრეთვე მეტროპოლიტენის, საჰაერო და საზღვაო პორტების (ნავსადგურების) შენობა-ნაგებობები;

ი) 500 მ<sup>3</sup> და 500 მ<sup>3</sup>-ზე მეტი საერთო მოცულობის ავზების მქონე ნავთობის ბაზები და ტერმინალები, ავტოგასამართი სადგურებისა და კომპლექსების (ავტოგასამართი, აირგასამართი და აირსავსები სადგურების), თბოელექტროსადგურებისა და ჰიდროელექტროსადგურების შენობა-ნაგებობები;

კ) 1000 მ<sup>2</sup> და 1000 მ<sup>2</sup>-ზე მეტი ფართობის მქონე ხანძარსაშიში ნივთიერების, მასალის, პროდუქციისა და ნედლეულის სასაწყობო შენობა-ნაგებობები და სათავსები;

ლ) მარცვლეულის შესანახი ან/და გადამამუშავებელი საწარმოები (წისქვილკომბინატები), აფეთქებახანძარსაშიში ობიექტები, აგრეთვე ხანძარსაშიში ობიექტები, რომლებსაც აფეთქებახანძარსაშიში სათავსი ან/და უბანი აქვს;

მ) სახანძრო ჰიდრანტები (მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა).

2. სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3. აკრძალულია იმ ობიექტზე ზედამხედველობის განხორციელება, რომელიც არ მიეკუთვნება ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს.

4. შენობა-ნაგებობისა და სათავსის ხანძარსაშიში და აფეთქებახანძარსაშიში კატეგორიები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. საქართველოს მთავრობა საგანგებო სიტუაციის შედეგად მოსახლეობის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისა და ქონებისთვის მიყენებული ზიანის შემცირების მიზნით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებიდან განსაზღვრავს მასობრივი თავშეყრის ობიექტებს და ადგენს მათი მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის წესს.

### მუხლი 33. ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილება

1. ზედამხედველობის ორგანოს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) შევიდეს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში, ჩაატაროს მათი შემოწმება, განახორციელოს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და შეტყობინების ლოკალური სისტემების გამოცდა და საქართველოს



კანონმდებლობით დადგენილი ზედამხედველობის სხვა ღონისძიებები;

ბ) დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებისაგან მოითხოვოს და მიიღოს ზედამხედველობის განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

გ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში გასცეს სათანადო მიწერილობა გამოვლენილი დარღვევის აღმოფხვრის ან ამ მოთხოვნების შესრულების თაობაზე, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში - შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე და სამართალდამრღვევს შეუფარდოს ადმინისტრაციული სახდელი;

დ) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებს, აგრეთვე სახელმწიფო რწმუნებულს წარუდგინოს წინადადებები და რეკომენდაციები სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების თაობაზე;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეისწავლოს ხანძრის მიზეზები;

ვ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესასრულებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტის მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში (ადმინისტრაციული წარმოების შესაბამის სტადიაზე) და მშენებლობადამთავრებული სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში; საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა და გააფორმოს სათანადო აქტი;

ზ) მიმართოს სასამართლოს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტის შენობა-ნაგებობის, საწარმოო უბნის, აგრეგატის ან/და სათავსის ექსპლუატაციის ან ცალკეული სამუშაოების ჩატარების მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერების შესახებ, თუ გამოვლინდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა, რაც ქმნის ხანძრის გაჩენის საშიშროებას ან/და საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას.

2. სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და საქართველოს დაზვერვის სამსახურის ობიექტების მიმართ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

#### **მუხლი 34. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მოვალეობები**

სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები ვალდებული არიან:

ა) შეასრულონ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები, საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნები;

ბ) შეიმუშაონ და მიიღონ სახანძრო უსაფრთხოების ზომები;

გ) შეასრულონ ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიწერილობა და სხვა კანონიერი მოთხოვნა;

დ) ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინონ მას ინფორმაცია/შესაბამისი დოკუმენტაცია შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის, ამ ობიექტების მიერ წარმოებული პროდუქციის ხანძარსაშიშროების, აგრეთვე მათ



ტერიტორიაზე წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის, მათ შორის, ხანძრის, და მისი შედეგების შესახებ;

ე) უზრუნველყონ სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად ზედამხედველობის ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირთა შესვლა ობიექტის ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობაში, აგრეთვე მათ შეუქმნან ზედამხედველობის განსახორციელებლად შესაბამისი სამუშაო პირობები და ხელი არ შეუშალონ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებაში;

ვ) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შეატყობინონ ხანძარსაწინააღმდეგო გზებსა და გასასვლელებში ცვლილებების შესახებ;

ზ) შეასრულონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

**მუხლი 35. პასუხისმგებლობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების და საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევისთვის**

1. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების, საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობა ეკისრება:

ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში – ფიზიკურ პირს;

ბ) მეწარმე სუბიექტის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შემთხვევაში – მეწარმე სუბიექტის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელს;

გ) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში – სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების, საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებელ პირს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ორგანოები პასუხისმგებელ პირად განსაზღვრავენ იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის/ერთეულის ხელმძღვანელს, რომლის ფუნქციაა ლოჯისტიკური და სამეურნეო უზრუნველყოფა, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის/ერთეულის ხელმძღვანელს. პასუხისმგებელი პირის არარსებობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულებას.

3. საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

4. ამ კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

## თავი VIII

### საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

**მუხლი 36. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სტატუსი**

1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური კოორდინაციას უწევს ეროვნული სისტემის ფუნქციონირებას და პასუხისმგებელია სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

2. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური შედგება სტრუქტურული დანაყოფებისგან, რომლებშიც მუშაობენ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები და სხვა საჯარო მოსამსახურეები. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სტრუქტურა, უფლებამოსილებები, საქმიანობის წესი და სხვა ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.



3. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო (შემდგომ – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო). სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სააგენტოს დებულებას ამტკიცებს მინისტრი. სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოში დასაქმებული არიან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირები და სხვა საჯარო მოსამსახურეები.

4. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და მისი თანამდებობის პირები უფლებამოსილი არიან, სამსახურის სამართლებრივ აქტებზე, ბლანკებზე, ბეჭდებსა და შტამპებზე სრული სახით გამოიყენონ საქართველოს სახელმწიფო გერბი.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

#### **მუხლი 37. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები**

1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, ეს კანონი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

2. მოსამსახურები „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონითა და სპეციალური კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

#### **მუხლი 38. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები**

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

- ა) კანონის უზენაესობა;
- ბ) ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა;
- გ) გამჭვირვალობა;
- დ) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი;
- ე) ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა;
- ვ) თანაზომიერება;
- ზ) სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა;
- თ) ჰუმანიზმი;
- ი) ჩართულობა და თანამშრომლობა;
- კ) დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება;
- ლ) ანგარიშვალდებულება.

#### **მუხლი 39. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ფუნქციები**

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ფუნქციებია:

- ა) ეროვნული სისტემის სუბიექტებთან კოორდინაციით სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, ამ მიზნით შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტებისა და ეროვნული მნიშვნელობის დოკუმენტების პროექტების შემუშავება და მინისტრისთვის წარდგენა;



ბ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფის და ეროვნული სისტემის განვითარების მიზნით წინადაღებების შემუშავება და მინისტრისა და ეროვნული სისტემის სხვა სუბიექტებისთვის წარდგენა;

გ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი; კომპეტენციის ფარგლებში სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის უშუალოდ განხორციელება;

დ) კომპეტენციის ფარგლებში ეროვნული სისტემის მონაწილე სახელმწიფო უწყებების მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ეროვნული კონცეპტუალური დოკუმენტებიდან გამომდინარე უწყებრივი კონცეპტუალური დოკუმენტებისა და უწყებრივი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაცია;

ე) ეროვნული სიტუაციური ოთახის მუდმივი მზადყოფნისა და ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის დროს მისი ამ კანონის შესაბამისად ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ვ) ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციაზე დაუყოვნებლივ რეაგირების მიზნით სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ორგანიზება, განვითარება და მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის მართვის კოორდინაცია, გარდა ამ კანონის მე-17 და მე-18 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა; რეაგირების ძალების მართვის ორგანიზება და სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება;

თ) კომპეტენციის ფარგლებში ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციის მართვის კოორდინაცია, გარდა ამ კანონის მე-17 და მე-18 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა; საქართველოს პრემიერ-მინისტრის ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

ი) საომარი მდგომარეობის დროს კომპეტენციის ფარგლებში ეროვნული თავდაცვის გეგმითა და სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულება;

კ) საგანგებო სიტუაციის რისკის შემცირების მიზნით რისკის მუდმივი იდენტიფიცირება, ანალიზი და შეფასება, პრევენციული ღონისძიებებისა და პროექტების დაგეგმვა და განხორციელება სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებსა და საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან თანამშრომლობით;

ლ) მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციის შესახებ ადრეული შეტყობინების სისტემის შექმნისა და განვითარების ორგანიზება, ამ სისტემის ფარგლებში საჭირო მონაცემების შეგროვება და დამუშავება;

მ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ინფორმაციის საჯაროობის, გამჭვირვალობის, თავისუფალი ხელმისაწვდომობისა და გავრცელების უზრუნველყოფა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვებისა;

ნ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირების ნებაყოფლობით ჩაბმის ორგანიზება, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისეთა სისტემის განვითარების ხელშეწყობა;

ო) სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებზე ზედამხედველობის განხორციელება და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში მათზე სათანადო რეაგირება;

პ) სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მართვა, ქვეყანაში სტრატეგიული დანიშნულების პროდუქტებთან დაკავშირებით არსებული ვითარების მონიტორინგი და ანალიზი, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სფეროში პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი წინადადებებისა და სამართლებრივი აქტების პროექტების მინისტრისთვის წარდგენა;



ე) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული ვითარების მუდმივი ანალიზი და ვითარების შესახებ მინისტრის ინფორმირება, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის შესაბამისი ანალიტიკური ინფორმაციის მიწოდება;

რ) საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა;

ს) არასამხედრო, აღტერნატიული შრომითი სამსახურის სახანძრო-სამაშველო დანაყოფში გავლის ორგანიზება;

ტ) კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფის საქმიანობის მარეგულირებელი სტანდარტებისა და ნორმების შემუშავება და მინისტრისთვის წარდგენა; კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფის აღჭურვილობისა და მზადყოფნის დონის შემოწმება; მეწარმე სუბიექტთან დადებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფის ორგანიზება; მეწარმე სუბიექტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფის თანამშრომელთა მომზადება ან გადამზადება;

უ) კერძო მიწისქვეშა სამიებო-სამაშველო დანაყოფის (სამთო მაშველის) საქმიანობის მარეგულირებელი სტანდარტებისა და ნორმების შემუშავება და მინისტრისთვის წარდგენა; კერძო მიწისქვეშა სამიებო-სამაშველო დანაყოფის (სამთო მაშველის) აღჭურვილობისა და მზადყოფნის დონის შემოწმება; მეწარმე სუბიექტთან დადებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე კერძო მიწისქვეშა სამიებო-სამაშველო დანაყოფის (სამთო მაშველის) ორგანიზება; მეწარმე სუბიექტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე კერძო მიწისქვეშა სამიებო-სამაშველო დანაყოფის (სამთო მაშველის) თანამშრომელთა მომზადება ან გადამზადება;

ფ) მოსამსახურეთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადებისათვის პასუხისმგებელი ქვედანაყოფის ან შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების მეშვეობით შესაბამის მოსამსახურეთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;

ქ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა;

ღ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სტრატეგიული კომუნიკაციის უზრუნველყოფა;

ყ) კომპეტენციის ფარგლებში, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან კოორდინაციით მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის სისტემის ორგანიზება;

შ) საგანგებო სიტუაციის შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების, საკომუნიკაციო გეგმებისა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

ჩ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

#### მუხლი 40. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფლებამოსილებები

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ამ კანონის 39-ე მუხლით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების მიზნით უფლებამოსილია:

ა) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების მიზნით შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტებისა და ეროვნული მნიშვნელობის დოკუმენტების პროექტების შესამუშავებლად ეროვნული სისტემის სუბიექტებისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისგან გამოითხოვოს უწყებაში არსებული ინფორმაცია, აგრეთვე შექმნას სამუშაო ჯგუფები მათი წარმომადგენლებისა და მოწვეული ექსპერტების მონაწილეობით;

ბ) განახორციელოს საგანგებო სიტუაციის და მისი შედეგების ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვა



და სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგება, საგანგებო სიტუაციის მიზეზების დადგენის მიზნით ეროვნული სისტემის სუბიექტებისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისგან გამოითხოვოს არსებული ინფორმაცია;

გ) მატერიალური ან/და ელექტრონული სახით შექმნას, მიიღოს და შეინახოს ნებისმიერი დოკუმენტი, აგრეთვე გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები და ელექტრონული ხელმოწერა. ელექტრონულ ხელმოწერას აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა;

დ) საგანგებო სიტუაციაზე მორეაგირე მოხალისეთა ეროვნული სისტემის შექმნისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით ეროვნული სისტემის სუბიექტებთან ერთად ან დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს კონკრეტული პროექტები;

ე) განახორციელოს ზედამხედველობის ორგანოსთვის ამ კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილებები;

ვ) მინისტრს წარუდგინოს წინადადებები სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მარაგების შექმნის, მართვის, შენახვისა და გამოყენების შესახებ;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს ხანძრის ჩაქრობის ღონისძიებების განხორციელება, საავარიო-სამაშველო სამუშაოებისა და სამუშველო სამუშაოების ჩატარება;

თ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული ვითარების ანალიზის მიზნით ეროვნული სისტემის სუბიექტებისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისგან გამოითხოვოს უწყებაში არსებული ინფორმაცია;

ი) შეამოწმოს კერძო მიწისქვეშა საძიებო-სამაშველო დანაყოფის (სამთო მაშველის) მზადყოფნის დონე შესაბამისი მარეგულირებელი სტანდარტებიდან გამომდინარე მისი საგანგებო სიტუაციისთვის მზადყოფნის მიზნით და შემოწმების ანგარიში წარუდგინოს ამ კერძო მიწისქვეშა საძიებო-სამაშველო დანაყოფის (სამთო მაშველის) მესაკუთრეს;

კ) შეამოწმოს კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მზადყოფნის დონე შესაბამისი მარეგულირებელი სტანდარტებიდან გამომდინარე მისი საგანგებო სიტუაციისთვის მზადყოფნის მიზნით და შემოწმების ანგარიში წარუდგინოს ამ კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მესაკუთრეს;

ლ) უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სრული სამობილიზაციო მზადყოფნა;

მ) სამინისტროს სახელით დადოს უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება;

ნ) უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დანაყოფებთან გამართული უწყებრივი კავშირი;

ო) უზრუნველყოს საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;

პ) ორგანიზება გაუწიოს შიდა კონტროლისა და დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს;

ჟ) უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების დროს ადამიანებისთვის ფსიქოსოციალური დახმარების გაწევა;

რ) საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით უზრუნველყოს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტებზე ზედამხედველობის განხორციელების შედეგების საჯაროობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა;

ს) კომპეტენციის ფარგლებში, სხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციით უზრუნველყოს მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის სისტემის ორგანიზება;



გ) საგანგებო სიტუაციის შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების, საკომუნიკაციო გეგმებისა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

უ) საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან შეთანხმებით დამტკიცებული გეგმის შესაბამისად მოახდინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მონაცემთა ბაზაში წინასწარ დარეგისტრირებული, შესაბამისი უნარების მქონე ვეტერანების მობილიზება და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებებში ჩართვა;

ფ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

#### **მუხლი 41. სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო**

1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ცალკეულ ფუნქციებს ასრულებს სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მეშვეობით. ამ სააგენტოს საქმიანობის მიზანია სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების გაწევა, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნასთან, მართვასთან, შენახვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საოპერაციო პროცედურების განხორციელება, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განვითარების ხელშეწყობა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

2. სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში გასაწევი სახელმწიფო მომსახურების სახეები და საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3. სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს დებულებას ამტკიცებს მინისტრი და ამავე სააგენტოს სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

#### **მუხლი 42. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელობა**

1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი:

ა) აწესრიგებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კომპეტენციის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ამ კანონის აღსასრულებლად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მოსამსახურეს, განსაზღვრავს მის უფლებამოსილებებს;

დ) მინისტრს თანამდებობაზე დანიშვნის და თანამდებობიდან გათავისუფლების მიზნით წარუდგენს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილისა და მოადგილის კანდიდატურებს;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოსამსახურეს ანიჭებს სახელმწიფო სპეციალურ წოდებას;

ვ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში წახალისებს და



დისციპლინურ პასუხისმგებლობას აკისრებს მოსამსახურეს; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მინისტრს წარუდგენს წინადადებას მოსამსახურის დაჯილდოების შესახებ;

ზ) ქმნის კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებს;

თ) წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობებში;

ი) (ამოღებულია - 22.12.2018, №4067);

კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2<sup>1</sup>. მინისტრი ამტკიცებს მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსს.

2<sup>2</sup>. მინისტრი ამ კანონის აღსასრულებლად გამოსცემს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

3. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილე, რომლებსაც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

4. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილისა და მოადგილის უფლებამოსილებები განისაზღვრება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის სამართლებრივი აქტებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

**მუხლი 43. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა**

1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისთვის გამოყოფილი ასიგნებებით, ხოლო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირისა – აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით.

1<sup>1</sup>. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის გადასახდელები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იქნეს ცალკე პროგრამული კოდით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.


2. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ამ კანონითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ქმნის და იყენებს ტექნიკურ საშუალებებს და უზრუნველყოფს მათ დაცვას.

3. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უფლებამოსილია მოხალისეთა სისტემის განვითარების მიზნით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში სახანძრო-სამაშველო დანაყოფის ტერიტორიაზე შექმნას სპორტული და სასწავლო სივრცეები და ამ სივრცეებით (ინფრასტრუქტურით) სარგებლობის საშუალება მისცეს მოხალისებს.

4. თუ მოსამსახურე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის სახელმწიფო ან პირად საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებას იყენებს, ამ სატრანსპორტო საშუალებას საწვავით უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

**მუხლი 44. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ანგარიშვალდებულება**



საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

## თავი IX

**საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში მიღების, მოსამსახურეთა მომზადებისა და გადამზადების და მათ მიერ სამსახურის გავლის წესი**

### მუხლი 45. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში მიღების ზოგადი მოთხოვნები

1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში მოსამსახურედ მიღება (თანამდებობაზე დაინიშნება) საქართველოს მოქალაქე/უცხოელი, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, იცის საქართველოს სახელმწიფო ენა, აქვს არანაკლებ სრული ზოგადი განათლება, თავისი პიროვნული და საქმიანი თვისებების, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური მომზადების დონის გათვალისწინებით შეუძლია დავისრებული ფუნქციების შესრულება და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს. ამ მუხლის მიზნებისთვის უცხოელი არის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

2. უცხოელი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში მოსამსახურედ შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სახით.

3. პირს, გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა და გამოსაცდელი ვადით მიღებული პირისა, სამსახურში მიღებისას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დანიშვნის დროს ენიჭება სამოქალაქო უსაფრთხოების სახელმწიფო სპეციალური წოდება.

4. მოსამსახურის სამსახურში მიღებისა და მის მიერ სამსახურის გავლის წესი, მათ შორის, ის საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის ამ კანონით, განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

### მუხლი 46. სპეციალური კონკურსი

1. სამსახურში მიღებისას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ იმ თანამდებობაზე, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო სპეციალური წოდების მინიჭებას, პირი ინიშნება სპეციალური კონკურსის გავლის შედეგად.

2. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში სპეციალური კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

3. სამსახურში მიღებისას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ იმ თანამდებობაზე დანიშვნის დროს, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო სპეციალური წოდების მინიჭებას, პირმა უნდა გაიაროს სპეციალური შემოწმება. სპეციალური შემოწმება გულისხმობს პირის პერსონალური მონაცემების გადამოწმებას/მოძიებას. სპეციალური შემოწმების დაწყებამდე პირი (კანდიდატი) აცხადებს წერილობით თანხმობას მისი პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობაზე.

4. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში სპეციალური შემოწმების ჩატარების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

5. თუ სამსახურში მიღებისას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ იმ თანამდებობაზე დანიშვნის დროს, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო სპეციალური წოდების მინიჭებას, კანდიდატებს თანაბარი შედეგები აქვთ, სხვა კანდიდატებთან შედარებით უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში აქვს გავლილი.



6. სამსახურში მიღებისას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ იმ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო სპეციალური წოდების მინიჭებას, მოსამსახურე დებს ფიცს. მოსამსახურის ფიცის ტექსტს ამტკიცებს მინისტრი.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

#### **მუხლი 47. სამსახურში მიღებისა და მოსამსახურის მიერ სამსახურის გავლისათვის დადგენილი შეზღუდვები**

1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში არ მიიღება:

ა) განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევი პირი;

ბ) პირი, რომლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს;

გ) პირი, რომელიც სასამართლომ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) პირი, რომელსაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

ე) პირი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამედიცინო დასკვნის თანახმად, არ აკმაყოფილებს შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;

ვ) პირი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამედიცინო დასკვნის თანახმად, არ აკმაყოფილებს შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებს;

ზ) პირი, რომელმაც სპეციალური შემოწმების გავლის შედეგად უარყოფითი შეფასება მიიღო;

თ) პირი, რომელიც თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით დაუკავშირდება მშობელს, მეუღლეს, შვილს, გერს, დას, ძმას, მეუღლის დას, ძმას ან მშობელს;

ი) სხვა ქვეყნის მოქალაქე ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა), გარდა საქართველოს კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისისა;

კ) პირი, რომელმაც სამსახურში მიღებისას შეგნებულად დამალა მასთან დაკავშირებული ინფორმაცია ან არასწორი მონაცემები წარადგინა;

ლ) 60 წელს მიღწეული პირი (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა);

მ) პირი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

2. მოსამსახურეს (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა) არა აქვს უფლება, ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს (გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა) ან სხვა საჯარო დაწესებულებაში/კერძო დაწესებულებაში ეკავოს სხვა თანამდებობა. მოსამსახურის მიერ სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება ან შეთავსებით სხვა თანამდებობის დაკავება დასაშვებია მხოლოდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში.

3. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის თანხმობით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს ან სხვა საჯარო დაწესებულებაში/კერძო დაწესებულებაში ეკავოს სხვა თანამდებობა. ეს ხელს არ უნდა უშლიდეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ მისთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას.



4. მოსამსახურეს ეკრძალება გაფიცვა, შეკრებასა და მანიფესტაციაში მონაწილეობა და პოლიტიკური პარტიის წევრობა.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

#### **მუხლი 48. თანამდებობრივი გადაადგილება (თანამდებობაზე გადაყვანა)**

ისეთ თანამდებობაზე გადაადგილებისას/გადაყვანისას, რომელსაც მსგავსი დასახელება აქვს და მსგავსი ფუნქციების შესრულებას ითვალისწინებს, პირი თანამდებობაზე ინიშნება სპეციალური კონკურსისა და შესაბამისი სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის გარეშე. დაუშვებელია სპეციალური კონკურსის გავლის გარეშე მოსამსახურის ისეთ თანამდებობაზე გადაადგილება/გადაყვანა, რომელსაც არა აქვს მსგავსი დასახელება და არ ითვალისწინებს მსგავსი ფუნქციების შესრულებას.

#### **მუხლი 49. მოსამსახურის სამუშაო დრო**

1. მოსამსახურის სამუშაო დრო განისაზღვრება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შინაგანაწესით, რომელსაც ამტკიცებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი.
2. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველისთვის დგინდება არანორმირებული სამუშაო დღე.
3. საომარი ან საგანგებო მდგომარეობის, საგანგებო სიტუაციის ან სხვა ექსტრემალური ვითარების დროს სამსახური გადადის მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე.

#### **მუხლი 50. მოსამსახურის შვებულება**

1. მოსამსახურისთვის დგინდება შვებულების შემდეგი სახეები:
  - ა) ყოველწლიური ანაზღაურებადი;
  - ბ) მოკლევადიანი დამატებითი;
  - გ) ანაზღაურებისგარეშე;
  - დ) სასწავლო;
  - ე) ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო.
2. მოსამსახურეს შვებულება ეძლევა მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირის ბრძანებით.
3. მოსამსახურეს ეძლევა ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით.
4. მოსამსახურეს გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე, დაქორწინების, ოჯახური პირობების ან/და სხვა საპატიო მიზეზის გამო, უშუალო ხელმძღვანელის თანხმობით შეიძლება მიეცეს მოკლევადიანი დამატებითი შვებულება წელიწადში 10 კალენდარული დღის ოდენობით. მოსამსახურის მოკლევადიანი დამატებითი შვებულება ანაზღაურებადია და ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ანგარიშში არ ითვლება.
5. მოსამსახურეს შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიეცეს ანაზღაურებისგარეშე შვებულება არაუმეტეს 1 წლისა.
6. მოსამსახურეს კვალიფიკაციის ასამაღლებლად 5 წელიწადში ერთხელ შეიძლება მიეცეს სასწავლო შვებულება არაუმეტეს 3 თვისა. სასწავლო შვებულების პერიოდში მოსამსახურეს უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო. თუ მოსამსახურეს სასწავლო შვებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინიციატივით ეძლევა, მას სრულად უნაზღაურდება სასწავლო შვებულებასთან



დაკავშირებული შესაბამისი ხარჯები.

7. მოსამსახურეს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება, შესაბამისი დახმარება და კომპენსაცია ეძლევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მუხლი 51. მოსამსახურის თანამდებობიდან დროებით გადაყენება**

1. მოსამსახურე სასამართლოს განჩინების, საგამოძიებო ორგანოს დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმეში მისი ბრალდებულად ცნობის გამო, საბოლოო გადაწყვეტილებისმიღებამდე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის ბრძანებით შეიძლება დროებით გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან.

2. თანამდებობიდან დროებით გადაყენებული მოსამსახურე გამართლების შემთხვევაში უნდა აღდგეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში იმავე თანამდებობაზე, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – მის ტოლფას თანამდებობაზე.

### **მუხლი 52. მოსამსახურის თანამდებობიდან/სამსახურიდან გათავისუფლების/დათხოვნის საფუძვლები**

1. მოსამსახურე (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა) შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან:

- ა) პირადი განცხადების/პატაკის საფუძველზე (სამსახურის კადრების განკარგულებაში აყვანით ან უამისოდ);
- ბ) შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება;
- გ) სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული/ტერიტორიული ქვედანაყოფის ლიკვიდაციის გამო;
- დ) დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო ან მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გამო;
- ე) თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის შეწყვეტის მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო;
- ვ) სხვა დაწესებულებაში სამსახურის დაწყების გამო;
- ზ) ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო, შესაბამისი სამედიცინო დასკვნის/ცნობის საფუძველზე;
- თ) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლილ დაკარგულად ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების, მხარდაჭერის მიმღებად ცნობის ან გარდაცვლილად გამოცხადების გამო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
- ი) გარდაცვალების გამო;
- კ) გამოსაცდელი ვადის გასვლისა და არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო;
- ლ) სპეციალური შემოწმების გავლის შედეგად უარყოფითი შეფასების მიღების გამო;
- მ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის გამო;
- ნ) სამსახურის ვადის გასვლის გამო;
- ო) საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული სხვა საფუძვლით.

2. სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურე, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლისა, შეიძლება ასევე გათავისუფლდეს თანამდებობიდან ან/და დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან:



ა) სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწევის გამო;

ბ) წელთა ნამსახურობის ვადის გასვლის გამო, მისი მოთხოვნის შემთხვევაში;

გ) შესაბამისი სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სპეციალური მომზადების/გადამზადების კურსის წარუმატებლად გავლის გამო.

3. სამსახურის კადრების განკარგულებაში აყვანილი მოსამსახურე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემიდან დაითხოვება:

ა) სამსახურის კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო;

ბ) სამსახურის სისტემაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმების შემთხვევაში;

გ) სხვა დაწესებულებაში სამსახურის დაწყების გამო.

4. მოსამსახურის გათავისუფლების/დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი ან მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირი.

#### **მუხლი 53. მოსამსახურის სამსახურის კადრების განკარგულებაში აყვანა**

1. მოსამსახურე თანამდებობაზე დანიშვნის უფლებამოსილების მქონე პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კადრების განკარგულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება;

გ) სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ან მისი სტრუქტურული ერთეულის ლიკვიდაციის დროს.

2. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კადრების განკარგულებაში აყვანილ მოსამსახურეს შეიძლება დაეკისროს სამსახურებრივი მოვალეობის დროებით შესრულება.

3. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კადრების განკარგულებაში აყვანილი მოსამსახურე კადრების განკარგულებაში აყვანის დღიდან ითვლება სამსახურიდან შესაძლო დათხოვნის შესახებ გაფრთხილებულად.

#### **მუხლი 54. სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურის ასაკობრივი შეზღუდვა**

1. სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურის სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკია:

ა) უმცროსი სპეციალური წოდების ან საშუალო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურისა – 55 წელი;

ბ) უფროსი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურისა – 60 წელი;

გ) უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურისა – 65 წელი.

2. სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შესაბამისი სამედიცინო ცნობის/დასკვნის არსებობისას სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეს საკუთარი სურვილით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის თანხმობით შეიძლება გაუგრძელდეს სამსახურში ყოფნის ვადა ზღვრული ასაკის ზევით არაუმეტეს 5 წლისა.

3. სამსახურში ყოფნის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ გამორიცხავს მოსამსახურის სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი საფუძვლით



გათავისუფლების შესაძლებლობას.

#### **მუხლი 55. მოსამსახურის წახალისება და წახალისების ფორმები**

1. სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისთვის მოსამსახურის მიმართ გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები:

- ა) მადლობის გამოცხადება;
- ბ) ფულადი ჯილდოს მიცემა;
- გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- დ) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სიგელით დაჯილდოება;
- ე) მორიგი სახელმწიფო სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება;
- ვ) დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;
- ზ) სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენა.

2. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის მიმართ, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წახალისების ფორმებისა, შეიძლება გამოიყენებულ იქნეს აგრეთვე წახალისების შემდეგი ფორმები:

- ა) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;
- ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მედალიონით დაჯილდოება;
- გ) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მედლით დაჯილდოება;
- დ) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველთა საპატიო სიაში შეყვანა.

3. მოსამსახურის მიმართ ერთდროულად შეიძლება წახალისების რამდენიმე ფორმა იქნეს გამოიყენებული.

4. მოსამსახურის წახალისების წესსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველთა საპატიო სიაში შეყვანის წესს ამტკიცებს მინისტრი.

5. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველთა საპატიო სია მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

#### **მუხლი 56. მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომისა და დისციპლინური სახდელის სახეები**

1. მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომის სახეებია:

- ა) სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა;
- ბ) სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება;
- გ) სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება;

დ) ეთიკური ნორმების წინააღმდეგ, მოსამსახურის ან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელის ჩადენა, განურჩევლად იმისა, ის სამსახურშია



ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ;

ე) შესაბამის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება;

ვ) მოსამსახურისთვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ავტორიტეტს;

ზ) შრომის დისციპლინის დაცვის წესის დარღვევა;

თ) ფორმის ტანსაცმლის ტარების წესის დარღვევა.

2. მოსამსახურისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესს ამტკიცებს მინისტრი.

3. დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო მოსამსახურის მიმართ გამოიყენება დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) სასტიკი საყვედური;

დ) თანამდებობიდან ჩამოქვეითება;

ე) თანამდებობიდან გათავისუფლება/სამსახურიდან დათხოვნა.

4. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის მიმართ, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის სახეებისა, შეიძლება დისციპლინური სახდელის სახედ გამოიყენებულ იქნეს აგრეთვე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველთა საპატიო სიიდან ამოღება.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

## მუხლი 57. მოსამსახურეთა მომზადება და გადამზადება

1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოსამსახურეთა მომზადებას ახორციელებს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მეშვეობით, აგრეთვე სხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან ან კერძო სამართლის იურიდიულ პირთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

2. მეხანძრე-მაშველი სამსახურში მიღებისას თანამდებობაზე დანიშვნამდე ან თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ გადის საბაზისო სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, გარდა იმ პირისა, რომელსაც გავლილი აქვს სახანძრო ან/და სამაშველო მიმართულების რომელიმე სპეციალური მომზადების კურსი ან პროფესიული პროგრამა ან/და რომელიც მუშაობდა სახანძრო-სამაშველო დანაყოფში და ამ კურსის ან პროგრამის გავლიდან ან სამსახურებრივი ურთიერთობების შეწყვეტიდან 5 წელზე მეტი არ გასულა. ამ შემთხვევაში მეხანძრე-მაშველის მიერ საბაზისო სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის საკითხს წყვეტს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისათვის პასუხისმგებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე.

3. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ვალდებულია განახორციელოს მეხანძრე-მაშველთა პერიოდული გადამზადება წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად, მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

4. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს იმ მოსამსახურეთა მომზადება და გადამზადება, რომელთა ფუნქციები და მოვალეობები საგანგებო სიტუაციის მართვაში უშუალო მონაწილეობას ითვალისწინებს.



5. განსაკუთრებულ შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უფლებამოსილია მეხანძრე-მაშველი, აგრეთვე ის მოსამსახურე, რომლის ფუნქციები და მოვალეობები საგანგებო სიტუაციის მართვაში უშუალო მონაწილეობას ითვალისწინებს, სასწავლებლად მიავლინოს სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამ შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და მეხანძრე-მაშველს/მოსამსახურეს შორის იდება შეთანხმება.

6. სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, სპეციალური მომზადების, გადამზადების ან/და კვალიფიკაციის ამაღლების კურსის/პროგრამის გავლის წესი მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

#### მუხლი 58. მეხანძრე-მაშველის პროფესიული დღე

მეხანძრე-მაშველის პროფესიული დღე აღინიშნება ყოველი წლის 12 ივნისს.

თავი X

მოსამსახურის სამართლებრივი დაცვა და სოციალური დაცვის გარანტიები

#### მუხლი 59. მოსამსახურის სამართლებრივი დაცვა

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურე ხელისუფლების წარმომადგენელია და მას სახელმწიფო იცავს.

2. არავის არა აქვს უფლება, ჩაერიოს მოსამსახურის სამსახურებრივ საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურისათვის ხელის შემლა, მისი პატივისა და ღირსების შელახვა, მის მიმართ მუქარა, ძალადობა, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ან მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

4. მოსამსახურეს, რომელიც უარს ამბობს აშკარად უკანონო ბრძანების ან განკარგულების შესრულებაზე, პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, ხოლო აშკარად უკანონო ბრძანების ან განკარგულების გამცემ პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით.

5. მოსამსახურეს უფლება აქვს, თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

#### მუხლი 60. მოსამსახურის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის, ტარების ან/და გამოყენების უფლება

1. განსაკუთრებულ შემთხვევაში, დავალების ხასიათიდან გამომდინარე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საამისოდ უფლებამოსილ მოსამსახურეს უფლება აქვს, შეინახოს, ატაროს ან/და გამოიყენოს სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღი.

2. მოსამსახურეს უფლება აქვს, გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი უკიდურესი ღონისძიების სახით, შექმნილი საფრთხისაგან (მათ შორის, საშიში ცხოველის თავდასხმისაგან) სხვისი ან/და საკუთარი სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის დასაცავად.

3. მოსამსახურე ვალდებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო ხელმძღვანელს.

4. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განკარგულებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ნუსხას, აგრეთვე მათი შენახვის, გამოყენებისა და ტარების წესს განსაზღვრავს მინისტრი.



## მუხლი 61. მოსამსახურის სოციალური დაცვის გარანტიები

1. მოსამსახურის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა სავალდებულოა და ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით. ამასთანავე, შესაძლებელია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით მოსამსახურის მეუღლისა და არასრულწლოვანი შვილების დაზღვევა.
2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველს აუნაზღაურდება სრულად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. სამსახურის კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში მოსამსახურეს 2 თვის განმავლობაში უნარჩუნდება ბოლო დაკავებული თანამდებობისათვის გათვალისწინებული ფულადი სარგო.
4. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება საცხოვრებლად სარგებლობაში გადაეცეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება.
5. მოსამსახურის სოციალური დაცვის გარანტიები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.
6. მოსამსახურეს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის ბრძანებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში შეიძლება განესაზღვროს ერთჯერადი ფულადი ან/და მატერიალური დახმარების ღონისძიება, სხვა სოციალური დაცვის ღონისძიებები და შეღავათები.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

## მუხლი 62. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველისათვის უსაფრთხო და აუცილებელი სამუშაო პირობების შექმნა

1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველს უფლება აქვს, ჰქონდეს უსაფრთხო და აუცილებელი სამუშაო პირობები, აგრეთვე სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები და სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობა. სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის ნუსხას ამტკიცებს მინისტრი.
2. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ვალდებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველი უზრუნველყოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობებითა და საშუალებებით, აგრეთვე უზრუნველყოს სამსახურის მეხანძრე-მაშველთა მიმართ თანაბარი და სამართლიანი მოპყრობა ადამიანური რესურსების მართვის, ანაზღაურებისა და სამართლებრივი დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

## მუხლი 63. მოსამსახურის შრომის ანაზღაურება

1. მოსამსახურის ფულადი სარგო შედგება თანამდებობრივი სარგოსაგან, ხოლო სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურის ფულადი სარგო – აგრეთვე წოდებისათვის დადგენილი (წოდებრივი) სარგოსაგან.
2. სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეს ეძლევა ფულად სარგოზე დანამატი წოდებით ნამსახურები წლებისათვის. მას შეიძლება მიეცეს აგრეთვე სხვა დანამატი.
3. მოსამსახურის ფულადი სარგოების (თანამდებობრივი სარგოს და წოდებრივი სარგოს) და დანამატების ოდენობებს, აგრეთვე ფულად სარგოზე დანამატის გაცემის წესს ამტკიცებს მინისტრი.



#### მუხლი 64. სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურის წელთა ნამსახურობის დანამატი

მოსამსახურეს, რომელსაც მიენიჭა სახელმწიფო სპეციალური წოდება, ყოველთვიურად ეძლევა სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდებით ნამსახურები კალენდარული წლების მიხედვით ფულად სარგოზე (თანამდებობრივ სარგოსა და წოდებრივ სარგოზე) დანამატი (წელთა ნამსახურობის დანამატი) შემდეგი პროცენტული ოდენობით:

- ა) 1-დან 2 წლამდე ნამსახურობისათვის – 5 პროცენტი;
- ბ) 2-დან 5 წლამდე ნამსახურობისათვის – 10 პროცენტი;
- გ) 5-დან 10 წლამდე ნამსახურობისათვის – 15 პროცენტი;
- დ) 10 წლის ან მეტი ნამსახურობისათვის – 20 პროცენტი.

#### მუხლი 65. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის ჯანმრთელობის დაზიანება

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში მას, დაზიანების ხარისხის შესაბამისად, მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება შემდეგი ოდენობით:

- ა) ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისას – 4 000 (ოთხი ათასი) ლარი;
- ბ) ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისას – 7 000 (შვიდი ათასი) ლარი.

2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უზრუნველყოფს მისი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, თუ ეს დაზიანება შეუძლებელს ხდის მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებას, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უზრუნველყოფს ამ მეხანძრე-მაშველის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, პიროვნული და საქმიანი თვისებებისა და განათლების შესაბამის სხვა თანამდებობაზე დასაქმებას.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ობიექტური მიზეზის გამო ვერ უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის სამსახურში დასაქმებას, მას უმუშევრობის პერიოდში, მაგრამ არაუმეტეს 1 წლისა, ყოველთვიურად ეძლევა კომპენსაცია ბოლო დაკავებული თანამდებობისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს სრული ოდენობით.

5. მოსამსახურის ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხი დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

#### მუხლი 66. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის დაღუპვა/გარდაცვალება

1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, კერძოდ, უშუალოდ ხანძრის ჩაქრობისას ან/და სამაშველო სამუშაოების/სავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების დროს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონების გადარჩენისას, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის დაღუპვის ან მიღებული დაზიანების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის



მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე ეძღვა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო (საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური) ანაზღაურებს.

2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას (გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე ეძღვა ერთჯერადი ფულადი დახმარება არაუმტეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარისა და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

3. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ეკონომის არსებობის შემთხვევაში, დაღუპული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის ოჯახის წევრს (მემკვიდრეს) ან მის კმაყოფაზე მყოფ პირს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე შეიძლება მიეცეს დამატებითი ფულადი ან/და მატერიალური დახმარება.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის დაღუპვის ან მიღებული დაზიანების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის წევრებს ენიშნებათ სახელმწიფო კომპენსაცია „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

## თავი XI

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების სახეები და მომსახურების გაწევა

### მუხლი 67. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების სახეები

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების სახეებია:

ა) ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების ხანძრისაგან ან/და საგანგებო სიტუაციისაგან დაცვის უზრუნველყოფა;

ბ) სახანძრო უსაფრთხოების ზომების ან/და საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების შემუშავება, სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე ან/და საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის საკითხებზე ტექნიკური კონსულტაციების გაწევა;

გ) სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების ან/და საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ორგანიზაციული ან/და ტექნიკური გადაწყვეტილებების პროექტების შემუშავება;

დ) საპროექტო სამუშაოების შესრულება;

ე) სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კამპანიის ჩატარება, სპეციალური ლიტერატურისა და სარეკლამო პროდუქციის გამოშვება;

ვ) ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობისა და სისტემის მონტაჟი, გამართვა, შეკეთება და ტექნიკური მომსახურება;

ზ) ნივთიერების, მასალის, ნაკეთობისა და კონსტრუქციის სახანძრო უსაფრთხოების გამოცდა;



თ) ცეცხლდამცავი და საღუმელე სამუშაოების შესრულება;

ი) სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და საგანგებო სიტუაციაში ქცევის წესების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციის მართვის ორგანიზების სწავლება;

კ) სახანძრო-ტექნიკური პროდუქტის წარმოება, შესყიდვა და საქართველოში შემოტანა;

ლ) სახანძრო-სამაშველო დანაყოფის შენობის, ნაგებობისა და სათავსის მშენებლობა, რეკონსტრუქცია და შეკეთება;

მ) წყალზე სამაშველო სამუშაოების ჩატარება, გარდა „საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა;

ნ) ცეცხლსაშიში სამუშაოების, მასობრივი, სანახაობრივი ან/და სპორტული ღონისძიებების ჩატარების დროს (გარდა უშუალოდ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული საზოგადოებრივი, პოლიტიკური, საქველმოქმედო ღონისძიებებისა, როდესაც მომსახურება უსასყიდლოდ გაიწევა) სახანძრო/სამაშველო, საავარიო-სამაშველო ტექნიკით ან/და ეკიპაჟით მომსახურება;

ო) ფილმის, რეკლამის ან კლიპის გადაღებისას, აეროპორტში ფრენის განხორციელების პერიოდში ან/და სხვა ღონისძიების/სამუშაოს ჩატარების დროს (გარდა უშუალოდ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული საზოგადოებრივი, პოლიტიკური, საქველმოქმედო ღონისძიებებისა, როდესაც მომსახურება უსასყიდლოდ გაიწევა) სახანძრო/სამაშველო, საავარიო-სამაშველო ტექნიკით ან/და ეკიპაჟით მომსახურება;

პ) სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ მიმართული სხვა სამუშაოები და მომსახურება.

## მუხლი 68. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევა

1. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევის უფლება აქვთ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს, აგრეთვე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

2. ამ კანონის 67-ე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა არის სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს ექსკლუზიური უფლებამოსილება, რომელიც მხარეებს შორის დადებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება.

3. სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო უფლებამოსილია ამ კანონის 67-ე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად მხარეებს შორის დადებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისაგან დროებით სარგებლობაში მიიღოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

## თავი XII

### გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

## მუხლი 69. ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის განხორციელების დროებითი წესი

1. 2018 წლის 1 სექტემბრამდე წარმოქმნილ ან მოსალოდნელ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვა, მისი გავრცელების არეალის, მასშტაბის, შედეგების მოცულობის, ლიკვიდაციისათვის საჭირო რეაგირების ძალებისა და მატერიალური რესურსების რაოდენობის გათვალისწინებით, ხორციელდება ამ მუხლითა და სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმით დადგენილი წესის შესაბამისად, შემდეგ დონეებზე:

ა) ეროვნულ დონეზე – საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას უზრუნველყოფენ ერთიანი სისტემის ორი



ან მეტი სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის უფლებამოსილებათა ტერიტორიულ საზღვრებში განლაგებული რეაგირების ძალები და საავარიო-სამაშველო საშუალებები იმ მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, რომლებსაც განკარგავენ ერთიანი სისტემის სუბიექტები;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე - საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას უზრუნველყოფენ ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებების, მუნიციპალიტეტის ორგანოების, მის ადმინისტრაციულ საზღვრებში ფუნქციონირებადი ორგანიზაციების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო დანაყოფები იმ მატერიალური რესურსების გამოყენებით, რომლებსაც განკარგავენ აღნიშნული ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების შესაბამისი ტერიტორიული ორგანოები, მუნიციპალიტეტის ორგანოები, ორგანიზაციები და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, და საგანგებო სიტუაციის ზონა არ სცდება ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებს;

გ) სამხარეო დონეზე - საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას უზრუნველყოფენ სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის უფლებამოსილებათა ტერიტორიულ საზღვრებში არსებული შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოების, მუნიციპალიტეტის ორგანოების, მის ადმინისტრაციულ საზღვრებში ფუნქციონირებადი ორგანიზაციების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო დანაყოფები იმ მატერიალური რესურსების გამოყენებით, რომლებსაც განკარგავენ აღნიშნული აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოები, მუნიციპალიტეტის ორგანოები, ორგანიზაციები და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, და საგანგებო სიტუაციის ზონა არ სცდება ერთი სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის უფლებამოსილებათა ტერიტორიულ საზღვრებს;

დ) ადგილობრივ დონეზე - საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის ორგანოების, მის ადმინისტრაციულ საზღვრებში ფუნქციონირებადი ორგანიზაციების, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო დანაყოფები იმ მატერიალური რესურსების გამოყენებით, რომლებსაც განკარგავენ მუნიციპალიტეტის ორგანოები, ორგანიზაციები და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, და საგანგებო სიტუაციის ზონა არ სცდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს;

ე) საობიექტო დონეზე - საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას უზრუნველყოფენ შესაბამისი ობიექტის რეაგირების ძალები და საავარიო-სამაშველო საშუალებები იმ მატერიალური რესურსების გამოყენებით, რომლებსაც განკარგავს აღნიშნული ობიექტი, და საგანგებო სიტუაციის ზონა არ სცდება ამ ობიექტის ტერიტორიის ფარგლებს.

## 2. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის ორგანოები არიან:

ა) ეროვნულ დონეზე:

ა.ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომელსაც საგანგებო სიტუაციის მართვის მიზნით პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად შესაბამის რეკომენდაციებსა და წინადადებებს წარუდგენს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური;

ა.ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებათაშორისი პერატიული ცენტრი - საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ერთიანი სისტემის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების უფლებამოსილი პირებისაგან შექმნილი ორგანო, რომელიც პერატიულ დონეზე ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს მოსალოდნელ ან წარმოქმნილ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას. საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებათაშორისი პერატიული ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;

ა.გ) აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების საგანგებო შტაბები - ერთიანი სისტემის სუბიექტების მართვის ორგანოები, რომელთა უფლებამოსილებაა მართვის დონისა და დარგობრივი დაქვემდებარების მიხედვით სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ერთიანი სისტემის შესაბამისი სუბიექტების საქმიანობის ორგანიზება. საგანგებო შტაბის საქმიანობას ხელმძღვანელობს შესაბამისი



აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე - საგანგებო სიტუაციების მართვის ავტონომიური რესპუბლიკის ოპერატიული ცენტრი - ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებების, მუნიციპალიტეტის ორგანოების და ორგანიზაციების რეაგირების ძალებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო დანაყოფის უფლებამოსილი პირებისაგან შექმნილი ორგანო, ორმელიც ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე (ოპერაციულ დონეზე) ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს მოსალოდნელ ან ფაქტობრივ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას. საგანგებო სიტუაციების მართვის ავტონომიური რესპუბლიკის ოპერატიული ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;

გ) სამხარეო დონეზე - საგანგებო სიტუაციების მართვის სამხარეო ოპერატიული ცენტრი - სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო ორგანიზაციის გუბერნატორის, შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოების, მუნიციპალიტეტის ორგანოების და ორგანიზაციების რეაგირების ძალებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო დანაყოფის უფლებამოსილი პირებისაგან შექმნილი ორგანო, ორმელიც სამხარეო დონეზე (ოპერაციულ დონეზე) ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს მოსალოდნელ ან ფაქტობრივ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას. საგანგებო სიტუაციების მართვის სამხარეო ოპერატიული ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს სახელმწიფო ორგანიზაციული - გუბერნატორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;

დ) ადგილობრივ დონეზე - საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივი ოპერატიული ცენტრი - მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს - მერის მიერ შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოების, მუნიციპალიტეტის ორგანოების და ორგანიზაციების რეაგირების ძალებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო/სამაშველო დანაყოფის უფლებამოსილი პირებისაგან შექმნილი ორგანო, ორმელიც ადგილობრივ დონეზე (ოპერაციულ დონეზე) ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს მოსალოდნელ ან ფაქტობრივ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას. საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივი ოპერატიული ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო - მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;

ე) საობიექტო დონეზე - ობიექტის საგანგებო შტაბი, რომლის საქმიანობას ხელმძღვანელობს შესაბამისი ობიექტის ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ოპერატიული ცენტრი იქმნება გარკვეული ვადით, მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე, მისი ხასიათისა და მასშტაბის გათვალისწინებით.

4. საგანგებო სიტუაციების მართვის ავტონომიური რესპუბლიკის, სამხარეო და ადგილობრივი ოპერატიული ცენტრების ხელმძღვანელების მოადგილები არიან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო დანაყოფის უფლებამოსილი პირები.

5. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ოპერატიული ცენტრი უფლებამოსილია, ვითარების გათვალისწინებით, საგანგებო სიტუაციის ზონაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე შექმნას საველე ოპერაციების ერთი ან რამდენიმე ცენტრი, რომელიც/რომლებიც ადგილზე ახორციელებს/ახორციელებს საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას და ტაქტიკურ დონეზე რეაგირების ძალების მართვას. საველე ოპერაციების ცენტრს ხელმძღვანელობს/ხელმძღვანელობენ შესაბამისი ოპერატიული ცენტრის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირი/პირები.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ოპერატიული ცენტრის შექმნამდე მოსალოდნელ ან ფაქტობრივ საგანგებო სიტუაციაზე პირველად რეაგირებას ახორციელებს ერთიანი სისტემის შესაბამისი რეაგირების ძალები ან ახორციელებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, რომელიც უფლებამოსილია ტაქტიკურ დონეზე შექმნას საველე ოპერაციების ცენტრი.



7. თუ საველე ოპერაციების ცენტრი შექმნილია, რეაგირების ძალები, მიუხედავად დაქვემდებარებისა, საგანგებო სიტუაციის ზონაში მისვლისთანავე გადადიან საველე ოპერაციების ცენტრის ხელმძღვანელის დაქვემდებარებაში.

8. ხანძრის ჩასაქრობად და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად სახანძრო-სამაშველო დანაყოფები გადიან უპირობო წესით.

9. ხანძრის, ავარიის, კატასტროფის, სტიქიური უბედურებისა და სხვა საგანგებო სიტუაციის დროს სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ძალებისა და საშუალებების საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებებში ჩაბმასა და მართვას უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ეროვნულ, ავტონომიური რესპუბლიკის, სამხარეო და ადგილობრივ დონეებზე ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოებში სხვადასხვა სახეობის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ძალებისა და საშუალებების ჩაბმის გეგმებს მუნიციპალიტეტის ორგანოებთან შეთანხმებით შეიმუშავებს და ამტკიცებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამისი დანაყოფი.

11. განსაკუთრებით რთული ხანძრის ჩაქრობაში მონაწილე სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მოქმედებებს კოორდინაციას უწევს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

12. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხანძრის ჩაქრობას უშუალოდ ხელმძღვანელობს ხანძრის ადგილზე მისული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო დანაყოფის უფროსი თანამდებობის პირი – ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელი, რომელიც ერთმართველობის პრინციპით მართავს ხანძრის ჩაქრობაში მონაწილე ძალებს.

13. საგანგებო სიტუაციის ზონაში საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ერთიანი სისტემის რეაგირების ძალების და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების სხვა მონაწილეების უსაფრთხოებისათვის.

14. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით შეიძლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოყენებულ იქნენ საქართველოს სამხედრო ძალების შესაბამისი დანაყოფები.

**მუხლი 70. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ლიკვიდაცია, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეორგანიზაცია და უფლებამონაცვლეობა**

1. 2018 წლის 1 აგვისტოს ლიკვიდირებულ იქნეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო და, ამის გათვალისწინებით, რეორგანიზებულ იქნეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

2. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს უფლებამონაცვლედ, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, ჩაითვალოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

3. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საკუთარი შემოსულობებისა და ამ შემოსულობების ფარგლებში აღებული ვალდებულებების უფლებამონაცვლედ ჩაითვალოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო.

4. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა 2018 წლის 1 აგვისტომდე უზრუნველყოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციისათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემა და აუცილებელი ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.



5. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტები, მიუხედავად იმისა, შესაბამება თუ არა ეს აქტები ამ კანონს, ინარჩუნებს იურიდიულ ძალას შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებამდე/გამოცემამდე.

6. 2020 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობამ და სამინისტრომ უზრუნველყონ შესაბამისი სამართლებრივი აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

7. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ:

ა) 2018 წლის 1 აგვისტომდე შექმნას შესაბამისი კომისია/კომისიები, რომელიც/რომლებიც უზრუნველყოფს/უზრუნველყოფენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის საბალანსო მონაცემების მიხედვით გადასაცემი აქტივებისა და ვალდებულებების, აგრეთვე სამსახურებრივი დოკუმენტაციის (მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალისა და სხვა დოკუმენტაციის) განსაზღვრას;

ბ) 2018 წლის 1 აგვისტომდე ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული აქტივები და ვალდებულებები, აგრეთვე სამსახურებრივი დოკუმენტაცია (მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალა და სხვა დოკუმენტაცია) გადასცეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს.

8. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა 2018 წლის 1 აგვისტომდე შექმნას შესაბამისი კომისია/კომისიები, რომელიც/რომლებიც უზრუნველყოფს/უზრუნველყოფენ სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოდან გადაცემული/მიღებული აქტივებისა და ვალდებულებების, აგრეთვე სამსახურებრივი დოკუმენტაციის (მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალისა და სხვა დოკუმენტაციის) აღრიცხვასა და ინვენტარიზაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

**მუხლი 71. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეორგანიზაციისას/საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ლიკვიდაციისას მათი მოსამსახურების შრომითი ურთიერთობა**

1. ამ კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეორგანიზაციისას და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ლიკვიდაციისას, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა დამისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მოსამსახურები (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა) აყვანილ იქნენ აღნიშნული სამსახურის კადრების განკარგულებაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სამსახურის კადრების განკარგულებაში აყვანილი მოსამსახურე შესაძლებელია მისი თანხმობით დაინიშნოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე.

3. თუ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მოსამსახურე, რომელიც 2018 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით მუშაობს ამ სააგენტოში და მინიჭებული აქვს სამოქალაქო უსაფრთხოების სახელმწიფო სპეციალური წოდება, 2018 წლის 1 აგვისტოდან მუშაობას გააგრძელებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში, მას ამ სისტემაში მუშაობის პერიოდში უნარჩუნდება 2018 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით მინიჭებული სახელმწიფო სპეციალური წოდება, განურჩევლად მისი თანამდებობისა, და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ენიჭება მორიგი სახელმწიფო სპეციალური წოდება.

**მუხლი 72. მისაღები/გამოსაცემი ნორმატიული აქტები**

1. საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს შემდეგი დადგენილებების მიღება:



- ა) „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს მოქალაქეთა მომზადების ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბ) „თავშესაფრების მახასიათებლებისა და მათი აღრიცხვის წესის განსაზღვრის შესახებ“;
- გ) „სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ჩამონათვალის და ამ ობიექტებზე საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“;
- დ) „ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ე) „ტექნიკური რეგლამენტის – კერძო სახანძრო-სამაშველო დანაყოფისა და კერძო მიწისქვეშა საძიებო-სამაშველო დანაყოფის (სამთო მაშველის) საქმიანობისა და შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ვ) „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ღონისძიებების ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ზ) „ბუნებრივი საგანგებო სიტუაციების პრევენციის ღონისძიებების შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“;
- თ) „საგანგებო სიტუაციის დროს სავალდებულო ოპერაციების ფარგლებში დაკისრებული ვალდებულების შესრულების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ი) „ინციდენტის/მოსალოდნელი ან წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- კ) „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, პოტენციურად საშიში, ეროვნული საგანგებოს და კულტურული მემკვიდრეობის იმ ობიექტების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც აუცილებელია სახანძრო-სამაშველო დანაყოფის შექმნა“;
- ლ) „ინციდენტის/მოსალოდნელი ან წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის და მისი შედეგების აღრიცხვისა და მონაცემთა დამუშავების წესის დამტკიცების შესახებ“;
- მ) „წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ნ) „საგანგებო სიტუაციის დროს სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტების რეაგირების ძალებისა და საშუალებების საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებებში ჩაბმის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ო) „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- პ) „პოტენციურად საშიში ობიექტის უსაფრთხოების პასპორტისა და დეკლარაციის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ჟ) „მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“;
- რ) „მასობრივი თავშეყრის ობიექტების განსაზღვრისა და მათი მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის წესისა და პირობების დადგენის შესახებ“;
- ს) „ბუნებრივ და ადამიანური ფაქტორით გამოწვეულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით მატერიალური რესურსების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ტ) „საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დაღვრის პრევენციისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ფ) „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს ტერიტორიისა და ქალაქების ჯგუფებად



დაყოფისა და ორგანიზაციების კატეგორიებად დაყოფის შესახებ“;

ფ) „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს მოხალისეთა წესდების დამტკიცების შესახებ“.

2. მინისტრმა 2020 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა:

ა) „საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭოს დაკომპლექტებისა და ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“;

ბ) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო დანაყოფის საქმიანობის ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“;

გ) „ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების/სამაშველო სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;

დ) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“;

ე) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“;

ვ) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“;

ზ) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემის მოსამსახურის სოციალური დაცვის გარანტიების დამტკიცების შესახებ“;

თ) „სამოქალაქო უსაფრთხოების ვარჯიშის ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;

ი) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემის მოსამსახურის ფიცის ტექსტის დამტკიცების შესახებ“;

კ) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველის სარგებლობაში არსებული სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის ნუსხის დამტკიცების შესახებ“;

ლ) „სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, სპეციალური მომზადების, გადამზადების ან/და კვალიფიკაციის ამაღლების კურსის/პროგრამის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“.

3. მინისტრმა 2019 წლის 1 მარტამდე უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა:

ა) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;

ბ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“;

გ) „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურის ფულადი



სარგოების (თანამდებობრივი სარგოს და წოდებრივი სარგოს) და დანამატების ოდენობების, აგრეთვე ფულად სარგოზე დანამატის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“;

დ) „ერთიან სატელეფონო ნომერზე – „112“-ზე – შესული შეტყობინების შესახებ ინფორმაციის სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის შესაბამისი მორეაგირე ორგანოსათვის მიწოდებისას და ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციაზე პირველადი რეაგირების განხორციელებისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის შესაბამის მორეაგირე ორგანოს შორის კოორდინაციის წესის დამტკიცების თაობაზე“.

4. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა 2019 წლის 1 მარტამდე უზრუნველყოს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მონაცემთა ბაზაში წინასწარ დარეგისტრირებული, შესაბამისი უნარების მქონე ვეტერანების მობილიზებისა და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებებში ჩართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4067 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

### მუხლი 73. ძალადაკარგული ნორმატიული აქტი

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს 2014 წლის 29 მაისის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 12.06.2014, სარეგისტრაციო კოდი: 140070000.05.001.017468).

### მუხლი 74. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი-68-ე და 73-ე მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი-მე-6, მე-8-მე-13, მე-19-68-ე და 73-ე მუხლები ამოქმედდეს 2018 წლის 1 აგვისტოდან.
3. ამ კანონის მე-14-მე-18 მუხლები ამოქმედდეს 2018 წლის 1 სექტემბრიდან.
4. ამ კანონის მე-7 მუხლი ამოქმედდეს 2018 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

27 ივნისი 2018 წ.

N2608-IIს

